# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 3 დეკემბერი, 2011 წელი.

№228 (6859)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.








იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## მედიის პირმშო და დაუძინებელი მტერი

3



გამოუცხადებელი ცივი ომის და ცხელი რეიდერული დაპყრობების ქრონიკები

## არეული მონასტერი

2

## ნუთუ წამის დაპატარავებას ზოგიერთის ტვინის დაპატარავებაც მოჰყვა?!

5

## ისემც თქვენ რა გითხარით, ვითომც დემოკრატო ევროპელებო!



5

## ბიძინა ივანიშვილი და ქართული მედია



ბიძინა ივანიშვილს პრესის გავრცელებასთან დაკავშირებით ორიგინალური იდეა აქვს, – ამის შესახებ ბიზნესმენთან დღევანდელი შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტმა ჯაბა ხუბუამ განუცხადა.

მისი თქმით, განხორციელების შემთხვევაში ეს იდეა საკმაოდ ეფექტური და საინტერესო იქნება, თუმცა ბიზნესმენის იდეის არსს ხუბუა არ აკონკრეტებს.

– ბიძინა ივანიშვილი აღშფოთებულია იმით, რაც ხდება პრესის გავრცელების კუთხით და აქვს საკმაოდ ორიგინალური იდეა, თუ როგორ შეიძლება დავუპირისპირდეთ ამას. პრობლემის გადაჭრის კონკრეტულ ხედვებზე პრესის ასოციაციაში შევჯერდებით და სავარაუდოდ, მომავალ კვირას, ჩვენს იდეებს წარვუდგენთ, თუმცა მისი იდეა ჩვენც ძალიან მოგვეწონა და მხარს ვუჭერთ, – აღნიშნა ხუბუამ.

საქართველოს პრესის ასოციაციის წევრებისა და ბეჭდური მედიის გამომცემელთა და გამავრცელებელთა შეხვედრა ივანიშვილის ბიზნესცენტრში გუშინ დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ პრესის სადისტრიბუციო კომპანიების „პლანეტა ფორტეს“ „ელვა სერვისის“ „მაცნეს“ „ექსპრესის“ „პრესინფოს“ ხელმძღვანელები, ასევე ბეჭდური მედიის წარმომადგენლები.

როგორც ცნობილია, მერიამ პროექტ „1000 ჯიხურის“ ფარგლებში აუქციონი გამოაცხადა. აუქციონი უმეტეს შემთხვევებში იმ ადგილებზეა გამოცხადებული, სადაც უკვე იდგა პრესის ჯიხურები, მათი აღების პროცესი უკვე დაწყებულია. მერიის გადაწყვეტილებას „საქართველოს პრესის ასოციაცია“, სხვადასხვა მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები აპროტესტებენ.

* * *

გაზეთ „რეზონანსის“ მთავარმა რედაქტორმა ლაშა ტუღუშმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილი შეშფოთებულია იმ საფრთხეებით, რომელიც პრესის გავრცელების კუთხით იქმნება და გამოთქვამს სურვილს, მხარი დაუჭიროს ბეჭდური მედიის გავრცელებას. თუ რა ფორმის იქნება ეს მხარდაჭერა კონკრეტულად, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

– ეს ეხება უშუალოდ გავრცელების მხარდაჭერას. ზოგ შემთხვევაში ბეჭდური მედიის გავრცელებისთვის შესაძლებლობის გაჩენას, ზოგ შემთხვევაში კი – გაფართოებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მიდგომაა, თუმცა დეტალები ჯერ ისევ შესაჯერებელია. დავინახეთ სერიოზული ინტერესი და მხარდაჭერა იმისა, რომ პრესა არ დარჩეს გავრცელების სისტემების გარეშე ან არ შეიზღუდოს მისი გავრცელება იმის გამო, რომ გაუგებარი და არასერიოზული მიზეზებით პრესის ჯიხურებს იღებენ, – აღნიშნა ლაშა ტუღუშმა.

* * *

პროექტი, რომელშიც ბიძინა ივანიშვილის დახმარება გვჭირდება, ჩვენ უნდა წარმოვადგინოთ, – ამის შესახებ ბიზნესმენთან გუშინდელი შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს სადისტრიბუციო კომპანია „პლანეტა-ფორტეს“ ხელმძღვანელმა მერაბ ჩანჩალაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, პრესის გავრცელების შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად საჭირო ფორმებზე პრესის ასოციაციის წევრები და გამავრცელებლები უახლოეს დღეებში შეჯერდებიან.

– შესაძლოა, ეს იყოს ფოსტალიონების ინსტიტუტის გაფართოება, ხელმოწერის ქსელის გაზრდა ან სხვა რამ. ეს სფერო აუქციონის პირობებს ვერ აიტანს. ჩვენ უნდა წარმოვადგინოთ პროექტი, რაში გვჭირდება დახმარება, – განაცხადა მერაბ ჩანჩალაშვილმა.

## მომაკვდინებელი ცოდვა

9

## კლასიკური ნოსტალგია

6

დავიდარაბა

# არეული მონასტერი

ის, რაც ტელეკომპანია მაესტროში მოხდა, თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის სირცხვილია.

არავითარი სკანდალი, გაუგებრობა, დაპირისპირება, ფულები, ვალები, დოლარები...

შემზარავი შედეგი მივიღეთ — ქართული ჟურნალისტიკის სირცხვილი!

თუ ტელეკომპანია „იმედი“ (მერე ყველა „სამთავრობო-თავისუფალი“ არხი) ქართული ჟურნალისტიკის ყველაზე დიდი სირცხვილია, „მაესტროც“ საკუთარი მასშტაბის ახალ სასირცხვილო თავსატეხად გვექცა!

თუ ერთ-ერთი იმედისმომცემი, მართლა კრიტიკული, მართლა თავისუფალი, აქამომდე ვასიკოს ყოველდღიური აბეზივით საჭირო ტელევიზიის ხელმძღვანელობაში გაერთიანებული ხუთიოდე კაცი (თანაც, საკმაოდ სახელოვანნი და გამოცდილნი) მთელი საქართველოს, მთელი მსოფლიოს დასანახად ასე დანასისხლად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ენა-პირი აიმყრალეს, სხვისა არ ვიცი, მაგრამ მე, რიგით ჟურნალისტს, სირცხვილით „სიკვდილი“ მიჯობს.

ყოჩაღ ჩვენს ქვებუდან ხელისუფლებას, — კიდევ ერთხელ უჩინმაჩინის ქუდი დაიხურა და ერთ დროს „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ დამფუძნებელი, შემდეგ გაოპოზიციონერებული ყვარყვარე პოლიტიკოსი — ერასტი კიწმარიშვილი ისე დამაჯერებლად გადააძვრინა ღობეზე და აარევინა მონასტერი, რომ სული ამიფორიაქდა!

ნაცების ანტიეროვნული პოლიტიკით და დიპლომატიით ისედაც დაპირისპირებულ, გათითოკაცებულ ქართველობას კიდევ ეს უნდოდა? ან ბიძინა ივანიშვილს რას ედავება „სუპერტელევიზიონჩიკი“ ერასტი, — **მისმა გამოჩენამ მაესტროს შემოქმედებით კოლექტივში ეიფორია გამოიწვიაო, ეკა ბერიძემ სიტყვა რატომ არ შეაწყვეტინაო... ან „ბიძინაჩემის“ ბოლო განცხადება ჩვენი შერიგების თაობაზე რა საჭირო იყოო!..**

საჭირო კი არა, აუცილებელზე აუცილებელი იყო, ჩემო ერასტიკო! ეს რომ ასეა, ამას შენც და შენი უჩინმაჩინის ქუდჩამოფხატული ნაციონალებიც მალე დაინახავთ. არა არს რა დამალული, რომელიც არა გაცხადდეს. მეფე კარგა ხანია შიშველია, სააკაშვილს ისიც ხშირად უნდა შეახსენოთ, რომ თუ მასმედია და სასამართლო ერთმმართველის წნეხისგან არ გათავისუფლდა, ტესტს ვერ ჩააბარებთ და თქვენი დასავლეთელი „მეგობრებიც“ საბოლოოდ გადაგისვამენ შავ ხაზს... დანარჩენ წვრილმანებს კიწმარიშვილის ამ ინტერვიუდან შეიტყობთ.

**სპარტაკ ქოზულია**

## ეროსი კიწმარიშვილი: მე თუ კრიმინალი ვარ, მამუკა ღლონტი ჩემი თანამონაწილეა

**„მაესტროში“ ავარდნილი ალიდან თანდათან იკვეთება, რომ მედიაინტრიგებში გამოცდილი ეროსი კიწმარიშვილი საზოგადოებას არც თუ ისე მარტივ თამაშს სთავაზობს და ფაქტია, იმდენად სწორ ტაქტიკურ სვლებს ახორციელებს, მისი „გადაგდება“ დაინტერესებულ პირებს არ გამოუვათ.**

*— თქვენ აცხადებთ, რომ 9 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდით „მაესტროს“ მართვაში. რატომ?*

— არც დრო მქონდა, არც მაინტერესებდა და არც მეცალა მაგისთვის. ეს იყო ავტოპილოტზე დაყენებული საქმიანობა.

*— ილია კიკაბიძე იყო ავტოპილოტი...*

— კიკაბიძე იყო ჩემ მიერ დანიშნული დირექტორი, დამფუძნებლებთან შეთანხმებით...

*— და ყველაფერი კიკაბიძეზე იყო მინდობილი, რადგან თქვენ მას ენდობოდით..*

— არა მარტო კიკაბიძეზე. მართვის კომპანიის უშუალო ყოველდღიურ საქმიანობაზე დირექტორი პაატა პაჭკორიაა პასუხისმგებელი. ეს ყველაფერი მიდიოდა ავტოპილოტზე და ჩვენ ერთმანეთთან დაქაბულობის „მექანიზმი“ არ გვქონდა.

*— აპირებდით თუ არა თანამშრომლების განთავისუფლებას, ხელფასების შემცირებას, როგორც მამუკა ღლონტმა განაცხადა „ობიექტივში“?*

— საუბარი მიდიოდა იმაზე, რომ ვიდრე არ გაირკვეოდა დამფუძნებელთა მხრიდან... (კიწმარიშვილს ახასიათებს თემიდან თემაზე გადასვლა, ამიტომ, ინტერვიუს გარკვეულ ნაწილს, თითქმის ორიგინალთან მიახლოებულს გთავაზობთ — რ.მ.) ჩვენ ჩვენი ვალდებულება შესრულებული გვაქვს გადაჭარბებით, ვალდებულებაც არ ჰქვია მაგას. მარტო ფინანსურ ვალდებულებაზე არ ვლაპარაკობ. თუ დავუბრუნდებით ისტორიას, მე ამ ტელევიზიის კონცეფციის, გადაცემების, ხასიათის, მიმართულების, ტიტრების, ფერებისა თუ მუსიკის შექმნაში ვმონაწილეობდი. ეს იყო პირველ ეტაპზე, როცა მართვის კომპანია დაფუძნდა და „მაესტროს“ მართვა გადაიბარა. ასევე აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი ფინანსების მოზიდვაში. ღიად მქონდა შეხვედრები ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან იმის გამო, რომ თუ ჰქონდათ სურვილი ტელეკომპანიის შექმნაში მიეღოთ მონაწილეობა, დაგვეხმარებოდნენ. ღიად ვმუშაობდი საერთაშორისო ორგანიზაციებთან...

*— ოღონდ, არ უნდა ჩარეულიყვნენ სარედაქციო საქმიანობაში?*

— ვერავინ ჩაერეოდა „მაესტროს“ საქმიანობაში. მე მათ ვეუბნებოდი, მოდით, გავაკეთოთ საერთო სახლი. ჟანგბადი გვჭირდება ყველას, ეს ჟანგბადი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ეროსის, ან პეტრესი...

*— ვის სთავაზობდით? მაგალითად, ნინო ბურჯანაძეს, ირაკლი ალასანიას...*

— მე მაქვს ცნობილი შეხვედრა მოწყობილი ოპოზიციის ლიდერებთან, 2009 წლის ბოლოს, ან 2010 წლის დასაწყისში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე კაფე „ბატონებში“, შეხვედრას ესწრებოდნენ: სალომე ზურაბიშვილი, ნინო ბურჯანაძე, ალასანიასგან — თუ არ მეშლება, ზურაბ აბაშიძე, ლევან გაჩეჩილაძე და ა. შ. ძალიან ბევრი ადამიანი ესწრებოდა ამ შეხვედრას. მე ჩემი გეგმების პრეზენტაცია მოვახდინე. ვუთხარი მათ, ერთადერთი გზა გვაქვს, შევქმნათ, ყველას საერთო სახლი (მე მაშინ პოლიტიკაში არ ვიყავი ჩართული).

მახსოვს, მაშინ ყველაზე მოწესრიგებული იყო ზურაბიშვილი. მხარდამჭერის წერილი გააკეთა და აქტიურად გვეხმარებოდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში. ისე, ყველამ თქვა სიტყვიერად — კიო. მაშინ იქ ლაპარაკი არ ყოფილა იმაზე, ჯიბიდან ამოეღოთ ფული, ერთობლივად უნდა მოგვეზიდა დაფინანსება.

*— ახლა რა საფრთხე იგრძენით? ივანიშვილია ეს საფრთხე?*

— ახლა დავბრუნდეთ უკან. მე დავიწყე საქმიანობა ამ მიზნით და დღემდე ვრჩები ამ ჩემს პოზიციაზე — ტელევიზიას უნდა მივცეთ თავისუფლება. მხოლოდ თავისუფალი ჟურნალისტია ჭეშმარიტების გარანტი. დღეს რა პრობლემაცაა „მაესტროში“ დამფუძნებლების მხრიდან, ყველაფერი რამდენიმე თვის წინათ დაიწყო რაღაც პროცესებით, რომელსაც თავიდან არ მივაქციე ყურადღება. ჯერ რაღაც გარკვეული პრეტენზიები იყო სიტყვიერ დონეზე, არა ჩემი — არამედ მართვის კომპანიასთან. შემდეგ უკვე სისტემატიურად ხდებოდა გარკვეული პრეტენზიების ფიქსაცია.

*— ვისგან მოდიოდა ეს პრეტენზიები, მამუკა ღლონტისგან?*

— დამფუძნებლებისაგან. მე არ ვაკონკრეტებ. ეს არის ერთი ჰომოგენური ჯგუფი. პრეტენზიები იყო პირველი სიგნალი, მაგრამ მე არ ჩავრეულვარ. თუმცა, როცა ბოლო სამი კვირის განმავლობაში მე დავინახე უკვე პრეტენზიების ნიაღვარი, იძულებული გავხდი, მიმეღო სიტუაციაში პირდაპირი ჩართვის გადაწყვეტილება.

*— ეს მოხდა შალვა რამიშვილისა და ნათია მიქიაშვილის გადაცემაში?*

—არა. ეს ცალკე ისტორიაა, ეს არ ეხება დამფუძნებლებს. რაც იქ ვთქვი, ეს პრეტენზიები შეიძლება, მქონდეს თქვენთანაც. მე, ამასწინანდელი ეკა ბერიძის გადაცემის გამო, როგორც მაყურებელს, გამიჩნდა უკმარისობის გრძნობა, იმიტომ, რომ ჩემთვის ცოტა უცნაურია, როცა ორი დღით ადრე ნინო ბურჯანაძეს პირიდან აგლეჯ სიტყვებს, არ ათქმევინებ არაფერს, მეორე დღეს გყავს სტუმრად ადამიანი, რომელსაც ოსანას არ უმღერი, მაგრამ ცოტა გაკლია. მე დავინახე განსხვავება და ეს განსხვავება მე დისკომფორტს მიქმნის. გუშინ ვუყურე „რუსთავი-2“-სა და „იმედს“, სადაც პირდაპირ ეთერში, 20-წუთიანი უწყვეტი რეჟიმით გადის ეკა ბერიძესთან ივანიშვილის სტუმრობის სიუჟეტი. მოდით რა, არავის სჯერა, რომ ამით ბიძინა ივანიშვილის პროპაგანდა მოხდა ამ არხებზე. ჩვენ თუ გვინდა მომავალ პოლიტიკოსს შევუქმნათ ბრძოლისუნარიანი გარემო...

*— თქვენ იმ ივანიშვილს გინდათ, შეუქმნათ ბრძოლისუნარიანი გარემო, რომელმაც „მაესტროსთვის“ ბრძოლა პირადად თქვენი გამიჯვნით დაიწყო?*

— მე გელაპარაკებით, როგორც საინფორმაციო საშუალება... საერთოდ კი, მე მაქვს ჩემს წყენებზე დიდი მოთმინების ვალდებულება. ეს არის პოლიტიკოსისთვის აუცილებელი პირობა...

*— და დღემდე თვლით, რომ ივანიშვილის გამოჩენა დადებითი მომენტი იყო ქართული პოლიტიკისთვის?*

— ძალიან დიდი პოზიტივი, მაგრამ მეორეს მხრივ შემიძლია ვთქვა, რომ მან დაიწყო 100-ით ნული, მაგრამ დღეს შემიძლია ვთქვა, რომ ბერიძესთან ინტერვიუს შემდეგ, ჩამოსულია ძალიან დაბლა.

*— და თქვენი ბრძოლა „მაესტროსთვის“ საერთოდ არ უკავშირდება მე-*



**მამუკა ღლონტი გია ხუხაშვილთან მოლაპარაკებებს უარყოფს**

**ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა ღლონტი გია ხუხაშვილთან მოლაპარაკებებს არ ადასტურებს.**

**— ეროსი კიწმარიშვილი ბოდვებშია. ხუხაშვილთან მოლაპარაკებები არ გვიწარმოებია, — განაცხადა ღლონტმა საუბრისას.**



*სამე ცენტრის შექმნის პროცესს?*

— მესამე ცენტრის შექმნა? თუ ვლაპარაკობთ კოალიციის პერსპექტივაზე, მას არ უკავშირდება ეს კონფრონტაცია. თუმცა, ეს მედიის გავლენა ყველას სჭირდება, რომ ჩვენი სიტყვა მივიტანოთ საზოგადოებასთან. ეს აუცილებელი ნაწილია. ივანიშვილის ინტერესებშიც არის და ყველას ინტერესებშიც უნდა იყოს მედიასაშუალებით საზოგადოებამდე შენი სიტყვის მიტანის მექანიზმი. რაც შეეხება კოალიციის შექმნის პერსპექტივას, თუ არსებობს ეს პერსპექტივა და ალბათ არსებობს, ამ კოალიციის შექმნის იდეა არ არის კონფრონტაცია ოპოზიციასთან. აქ მთავარი იდეაა, ჩვენ შევქმნათ ენერგია მომავალი წარმატების მისაღწევად.

ჩვენი ამოცანა არ არის ივანიშვილის ხიბლიდან გამოვიყვანოთ საზოგადოება. ჩვენ ვალდებულები ვართ, ივანიშვილი ვაიძულოთ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან კითხვებზე გასცეს სწორი პასუხი, მოვასმენინოთ ხალხს, რას სთავაზობს ისეთს, რის გამოც უნდა დაუჭირონ მხარი მომავალში, თუ აქვს მას ეს რესურსი. არ ვიცი, ვისთვის არის მნიშვნელოვანი ნიჭიერების ან ინტელექტის დეფინიცია, ან პარაფსიქოლოგია, ანდა ფსიქოანალიზი და რამდენად ეს ყველაფერი არის დომინანტი მოთხოვნა ქართულ საზოგადოებაში, რომლის 80%-ი ქვეყნიდან წასვლაზე ფიქრობს. ეს, ჩემი აზრით, არასწორი მესიჯებია და ამ მესიჯებს ჟურნალისტი არ უნდა მიყვებოდეს ასე ღრმად. მოკლედ, ჩემი სუბიექტური აზრი მოგახსენეთ კონკრეტულ გადაცემაზე და ამ აზრის განვითარება აღარც მაინტერესებს, მათ შორის - არც ჟურნალისტთან. ამის გამო მე ჟურნალისტს ვერაფერს ვეტყვი...

*— „ობიექტივში“, თქვენმა ჟურნალისტმა გიორგი ფოფხაძემ განაცხადა, რომ ორი კვირა ცდილობდით კოლექტივთან შეხვედრას, სამაგიეროდ, მამუკა ღლონტმა თქვა, რომ ჟურნალისტების გათავისუფლება გინდოდათ სამსახურიდან. პარალელურად, თქვენ და ღლონტი ერთმანეთს ფინანსურ ბრალდებებს უყენებთ, საუბარია — 4,5 მილიონზე, სად არის აქ სიმართლე, მაინც რამ წარმოშვა ასეთი ტიპის გაღიზიანება, რასაც ჩემი კოლეგების დაზარალება მოჰყვა შედეგად?*

— ფული არ არის გაღიზიანების მომენტი, ჩემი მხრიდან, თუ იმათი მხრიდან არის, არ ვიცი. მე გამოვთქვი საკმაოდ მძიმე პრეტენზიები ამასთან დაკავშირებით, ძალიან გაღიზიანებული ვიყავი.

*— მამუკა ღლონტმა განაცხადა, რომ 4,5-მილიონიანი ინვესტიცია არის მაკა ასათიანის თანხა...*

— არის თემები, რომლებიც არ არის საზოგადოებაში ღია დისკუსიის საფუძველი, არა იმიტომ, რომ უნდა დამალო, არა — უბრალოდ კომერციული საიდუმლოებაა, რომელსაც აქვს გარკვეული წინა პირობა. მეორეს მხრივ, არსებობს თემები, რომელთაც საზოგადოებას როგორი კუთხითაც მიაწოდებ, იმის მიხედვით მიიღებს.

მამუკა რასაც ამბობს, არის ტყუილი. ეს არის „მაესტროს“ მართვის კომპანიის მიერ შემოტანილი თანხა.

*— ვისგან? მაკა ასათიანისგან, არა?*

— არა. ყველასგან. მათ შორის, ჩემგან, იმ ორგანიზაციებისგან, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა „მაესტროს“ ჩამოყალიბებაში. საერთაშორისო დონორებისგან... მე მოვიზიდე ეს პროდუქტი.

*— თქვენს მიერ შეტანილი კონკრეტული თანხა რამდენია?*

— ძალიან ბევრი-თქო, ვერ ვიტყვი. ეს, მე მგონი, არაკორექტული შეკითხვაა. ჩემგან „მაესტროში“ შეტანილი არის 4,5 მილიონი დოლარი, როგორც მართვის კომპანიის დამფუძნებლის მხრიდან კონკრეტულად ნაკისრი ვალდებულება.

*— და ეს, არ არის მაკა ასათიანის თანხა...*

— მაკა ასათიანის, როგორც დამფუძნებლის მიერ „მაესტროში“ შეტანილი თანხა, მამუკა ღლონტს შეუძლია, გამოაკლოს საერთო თანხას და ეს არ არის ის თანხა, რაზეც არის ახლა ლაპარაკი. მაკა ასათიანის, ან სხვა ადამიანის მიერ ლეგალური შენატანი პირდაპირ „მაესტროში“ მანამდე განხორციელებული, ან მერე, ეს არ არის ჩემი კალკულაციის საგანი.

*— ღლონტის კიდევ ერთ ბრალდებაზე მინდა თქვენი კომენტარი, ის აცხადებს, რომ კიწმარიშვილი „მაესტროში“ შემოსული თანხებით „ქართულ პარტიას“ აფინანსებდაო.*

— შემიძლია, პირდაპირ გიპასუხოთ, ეს არასერიოზული განცხადებაა. ტყუილია. შეუძლებელია ეს ხდებოდეს. ასეთი რამ ბუნებაში არ შეიძლება არსებობდეს, რომ ტელევიზია აფინანსებდეს პარტიას, ამას ამბობდეს ტელევიზიის დამფუძნებელი და თანაც მას შემდეგ, როცა დაპირისპირება წარმოიქმნება, მაშინ აქ რაღაც მოტივაციაზე უნდა ვილაპარაკოთ. დაფარა, ე.ი. კრიმინალს სჩადიოდა. რა გამოდის, მე ვარ კრიმინალი და ის ჩემი თანამონაწილეა?

*— კარგით, დავაზუსტოთ სხვა დეტალებიც. ღლონტი ასევე საუბრობს იმაზე, რომ ილია კიკაბიძის განთავისუფლების უფლება თქვენ არ გაქვთ.*

— კიკაბიძის განთავისუფლება და კიდევ სხვა დეტალიც ერთ პასუხში შეიძლება, ჩაეტიოს - ყველაფერი არის იურიდიული დისკუსიის საგანი.

*— დამიკონკრეტეთ, გქონდათ უფლება?*

— მე მქონდა უფლება ილია კიკაბიძე გამეთავისუფლებინა თანამდებობიდან და განვახორციელე კიდეც ჩემი უფლებამოსილება...

*— დამფუძნებლებსაც ჰქონდათ უფლება, ეროსი კიწმარიშვილის მართვის კომპანიასთან გაეწყვიტათ ხელშეკრულება, რაც გააკეთეს კიდეც..*

— კი, ბატონო. ამიტომ მე მომეწონა საიას პოზიცია, დასხდნენ, გაარკვიონ ვინ მართალია და ვინ — არაო. მთავარი აქ არის ის, ახლა, ჩვენ არ უნდა გავხადოთ მძევლებად ჟურნალისტები, რომლებსაც საერთოდ არ უნდა აინტერესებდეს ეს დისკუსია.

*— ღლონტს თავისუფალი გადაადგილების საშუალება ექნება „მაესტროს“ ტერიტორიაზე?*

— ეს ყველაფერი არის დაკავშირებული ჩვენ მოლაპარაკებასთან. მოლაპარაკება რომ დაიწყოს, მე უნდა დამიბრუნდეს ჩემი კანონიერი უფლებამოსილება. არ არსებობს ასეთი მექანიზმები, ასე თავისუფლად გამათავისუფლონ. აქედან გამომდინარე, მე ვარ მართვაში და ვიქნები, დარწმუნებული ვარ 2012 წლის ნოემბრის ჩათვლით. ხოლო „მაესტროს“, როგორც ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტს, დიდ როლს ვათამაშებინებ იმაში, რომ საქართველოში პროცესები გამოჯანსაღებისა და პროგრესისკენ წავიდეს. ამას ვითამაშებთ არა მანიპულირებით, როგორც ეს შეთქმულების თეორიით შეპყრობილ ადამიანებს აქვთ წარმოდგენილი, არამედ -თავისუფალი ჟურნალისტების ტექნიკური, ინტელექტუალური თუ მატერიალური „ნოუ ჰაუების“ გაძლიერების გზით, ტელევიზია გახდება ბევრად უფრო ცქერადი, ვიდრე დღეს არის და იქნება საზოგადოების პოლიტიკური განწყობების განმსაზღვრელი.

*— არ ფიქრობთ, რომ რასაც დღეს აკეთებთ, სწორედ ხელისუფლების წისქვილზე უშვებს წყალს?*

— აბსოლუტურად გეთანხმებით. ასეა. ზუსტად ესაა ჩემი ნერვიულობისა და გულისტკივილის მთავარი მიზეზი. ჩვენ უნდა გამოვიდეთ ამ სიტუაციიდან, რაც შეიძლება სწრაფად“.

**რუსიკო მუმლაძე**

**გულახდილად**

**არა მგონია, არ დამეთანხმოთ, რომ მიხეილ სააკაშვილი ნული იქნებოდა წინჩამოსმული მედიის ჯოხის გარეშე. ვარდების რევოლუცია იყო მედიის პირმშო!**

**და სწორედ მიხეილ სააკაშვილი და მისი ნაცმოძრაობა იქცნენ მედიის ყველაზე დაუძინებელ მტრად! თანაც – ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან!**

**2004-2006 წლები** – მიშამ და ნაცმოძრაობამ გადაიფორმეს ან დახურეს 9 დამოუკიდებელი სატელევიზიო არხი, მათ შორის რუსთავი-2, მე-9 არხი, იბერია... სადღეისოდ, ამ საშუალებათა დიდ ნაწილს ოფშორებზე დაფუძნებული კომპანიები და ხელისუფლების ახლობელი პირები მართავენ.

**2004 წლიდან** დაწყებული საზოგადოებრივი არხის ხელმძღვანელობაში მოდიოდნენ მთავრობის მიერ დანიშნული – სულ უფრო ოდიოზური, სულ უფრო მეტად კონტროლირებადი პირები და საზოგადოებრივი არხიც სულ უფრო ხდებოდა სააკაშვილის ყურმოჭრილი მონა და ქართული საზოგადოების დაბოლების სერიოზული ინსტრუმენტი...

**2006 წელს** მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ იგი არ კითხულობს ქართულ გაზეთებს და თავისი ზეპირი ბრძანებით აუკრძალა სახელმწიფო სამსახურებს გაზეთების გამოწერა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ქართული გაზეთების ტირაჟები.

**2006-2007 წლები** – ვანო მერაბიშვილმა და ნაცმოძრაობის სხვა დიდმოხელეებმა მოახერხეს მრავალი მედიასაშუალების დაქვემდებარება, რის შემდეგ ეს მედიარესურსები ან დაიხურა, ან მყვირალა, არაეთიკურ და ნაკლებად ობიექტურ მედიასაშუალებებად იქცა, რომელთა საქმიანობის სტილი მარტივად შეიძლება ასე დახასიათდეს – „ვაკრიტიკოთ ხელისუფლება და ლაფში გავსვაროთ ოპოზიცია!“

**2007 წლის 7 ნოემბერი** – უკანასკნელი ეროვნული მასშტაბის დამოუკიდებელი ტელევიზია – „იმედი“ განადგურდა სპეცნაზის შეჭრის და არნახული დარბევის შედეგად.

**2008 წელი** – „იმედის“ ტელეარხი სხვადასხვა მაქინაციით გადაუფორმდა პატარკაციშვილის შორეულ ნათესავს, საქართველოს მთავრობასთან გარიგებულ ჯოზეფ კეის, ხოლო შემდეგ – ვითომ არაბულ „რაკიინ ჯორჯია ჰოლდინგს“, რომლის „წარმომადგენელი“, ვინმე მარკ მონემი, ისე გაქრა პრეზენტაციის შემდეგ, რომ არავის არსად აღარ უნახავს. არაბული კომპანიის „რაკ“-ის ხელმძღვანელმა 2009 წელს განაცხადა, რომ ტელევიზია „იმედი“ მათი აქტივი არასოდეს ყოფილა და რომ ის „რაკიინ ჯორჯია ჰოლდინგი“ მისთვის უცნობი კომპანია იყო! და ამით ირიბად დაადასტურა, რომ „იმედი“ სინამდვილეში საქართველოს ხელისუფლებამ ჩაიჯიბა, შექმნა რა არაბული „რაკიინის“ ვითომდა შვილეული მსგავსი სახელის მქონე კომპანია, რომელიც რეალურად მისივე დაქირავებული პირები მართავდნენ. 2011 წელს პატარკაციშვილის ოჯახმა სხვა აქტივების დათმობის სამაგიეროდ ოფიციალურად დაუთმო „იმედი“ საქართველოს მთავრობას, რითაც ფაქტიურად დადასტურდა, რომ ქეიც და „არაბებიც“ სააკაშვილის შირმა იყო მხოლოდ.

**2007 წლიდანვე** დაიწყო სამთავიანი ვეშაპის – საზოგადოებრივი არხი, „რუსთავი-2“, „იმედი“ – თანდათან სულ უფრო მზარდი სახელმწიფო ცენზურა. ნაციონალური მოძრაობის ლიდერები – გიგი უგულავა, ლევან რამიშვილი, გიგა ბოკერია, გოკა გაბაშვილი, გიორგი არველაძე – სხვადასხვა დროს ამ არხების პირადი ცენზორების როლს ასრულებდნენ, ხოლო ვანო მერაბიშვილი „რუსთავი-2“-ს და მერე „იმედსაც“ საკუთარი რეკლამირებისთვის ისე იყენებდა, რომ ხშირად მიხეილ სააკაშვილის გამაბითურებელ იუმორისტულ გადაცემებსაც უშვებდა...

**2010 წ.** – თბილისის მერიის გადაწყვეტილებით ჟურნალ-გაზეთებით და წიგნებით ქუჩაში ვაჭრობა – თუნდაც სტელაჟებიდან – გარევაჭრობის ნაირსახეობად ჩაითვალა და აიკრძალა. რამდენიმე ასეული ადამიანი თბილისში უმუშევარი დარჩა. მოისპო ბუკინისტური წიგნებით ვაჭრობის ნაცნობი ადგილები. ხელისუფლებაზე ვერ მოახდინა გავლენა იმ უცხოური ფოტოების დემონსტრაციამ, რომ პარიზშიც,ნიუ-იორკშიც, ლონდონშიც, ტოკიოშიც – ჟურნალ-გაზეთები და ბუკინისტური წიგნები ქუჩაში სტელაჟებიდან იყიდება...

**2010 წ.** – სტელაჟებიდან მოვაჭრეების ლიკვიდაციის შემდეგ გიგი უგულავამ თბილისში რამდენიმე ასეული Press ჯიხური ჩადგა. ამ Press ჯიხურებში, რომელსაც ვითომ დუბაიური ფირმა, ხოლო სინამდვილეში – ლატარიის კომპანიის მაშინდელი მფლობელი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი აკონტროლებს, მალე საქართველოს ლატარიის ბილეთების გაყიდვა დაიწყო და ისინი ჟურნალ-გაზეთების გაყიდვაზე უკვე ნაკლებ დამოკიდებულნი გახდნენ. დღეს ეს ჯიხურები ჟურნალ-გაზეთებსაც ჰყიდიან, მაგრამ ეს მათი შემოსავლების მინიმუმია და თუ მთავრობას (ვინც მათ საკუთარი ახლობლების ხელით მართავს) დასჭირდა, რომ პრესა, ან რომელიმე კონკრეტული გაზეთი, არ გაიყიდოს, ეს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე განხორციელდება.

**2010-2011** – საქართველოს მთავრობამ დაიწყო საქართველოს ფოსტის პრივატიზაციის პროცესი და საბოლოოდ ეს უკვე კერძო კომპანია სააკაშვილის მთავრობის ყოფილ ფინანსთა მინისტრს – კახა ბაინდურაშვილს ჩააბარა. არაა გამორიცხული, რომ სხვა მიზნებთან ერთად ეს ფოსტის მეშვეობით ჟურნალ-გაზეთების გავრცელების კონტროლის მიზნითაც გაეკეთებინოთ. კერძო კომპანიას ერთ დღეს შეუძლია რაღაც მოგონილი მიზეზით უარი თქვას პრესის გავრცელებაზე, ან – უფრო ტექნიკურად, დისტრიბუციის ისეთი ტარიფი დააწესოს,რომელიც ნებისმიერი გაზეთის ბინაზე მოტანა მის ფასს გააორმაგებს. სანამ გაზეთები ჯიხურებში იყიდება, და ეს ჯიხურები საკმარისად მრავლადაა, გამოწერის პრობლემა დიდი პრობლემა არ უნდა იყოს, მაგრამ... ამაზეც ფიქრობდნენ ბიჭები...

# მედიის პირმშო და დაუძინებელი მტერი



## გამოუცხადებელი ცივი ომის და ცხელი რეიდერული დაპყრობების ქრონიკები

**2011 წლის** დასაწყისიდან, მას შემდეგ რაც ტელეკომპანია „მაესტრომ“, ლამის ერთწლიანი ბრძოლის შედეგად, სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზია მიიღო, მთელი საქართველოს რეგიონების მასშტაბით დაიწყო „მაესტროს“ მიმართ საკაბელო ტელევიზიების დაუსაბუთებელი უარის კამპანია, რის შედეგად თელავის, რუსთავის, ახმეტის და ბევრ სხვა ქალაქებში „მაესტროს“ გავრცელება შეიზღუდა. ხოლო თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ თბილისში ბოჭკოვანი ქსელების და კაბელური ტელევიზიის ორივე დუოპოლისტი – „სილქნეტი“ და „კავკაზუს ონლაინი“ – „მაესტროს“ (და „კავკასიას“?) ჯიუტად არ რთავს თავისი პროგრამების სიაში, აშკარაა, რომ როგორც კი მაღალსიჩქარული ინტერნეტის და ტელევიზიის ერთობლივ პაკეტზე დემპინგური ფასებით მოხიბლულ თბილისელთა უმრავლესობა ამ საკაბელო ტელევიზიებიდან ერთ-ერთს აირჩევს, მათ მოუწევთ ცხოვრება „მაესტროს“ გარეშე და „მაესტროს“ მიღების ერთადერთი წყარო სატელიტური თეფში გახდება, რაც არც მაღალი ხარისხით იქნება გარანტირებული, და თანაც – საეჭვოდ ჩატარებული ტენდერის შემდეგ – ტელეანძის საეჭვო მფლობელს არაა გამორიცხული, საჭირო მომენტში (მაგალითად – არჩევნების დღეს!) ტექნიკური პრობლემების „ვირუსი შეეყაროს“.

**2011 წ. 26 მაისის ღამეს** – ხელისუფლებამ არნახული სისასტიკით დაარბია უკვე არასანქცირებული, მაგრამ მშვიდობიანი მიტინგი რუსთაველზე. მიტინგის დარბევისას დაიღუპნენ მშვიდობიანი მოქალაქეები და პოლიციელი, რაც ნინო ბურჯანაძეს დაბრალდა, მაგრამ საქმე აღარ გამოუძიებიათ. მიტინგის დარბევის დროს ათობით ჟურნალისტის მიმართ პოლიციის და სპეცნაზის მხრიდან გამოყენებულ იქნა ფიზიკური და მორალური ძალადობის მეთოდები. ზოგიერთი უკანონოდ დააკავეს და უკვე განყოფილებაშიც სცემეს, ჩამოართვეს აპარატურა და გადაღებული მასალები. დღემდე ამ საქმის გამოძიება არ დასრულებულა.

**2011 წ. ივნისიდან** – საგადასახადო პოლიციამ დაიწყო უსასრულო (! დღემდე დაუსრულებელი! მხოლოდ – შეჩერებული!) შემოწმება მედია ჰოლდინგ „პალიტრას“ 6 დამოუკიდებელ სტრუქტურაში. მართალია, დარღვევები ფაქტობრივად ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ სურვილი ძალიან დიდი იყო, რომ „პალიტრა“ დაეხურათ და ფაქტიურად „პალიტრა“ გადარჩა მხოლოდ იმ არნახული სოლიდარობის წყალობით, რაც საზოგადოებამ, ჟურნალისტებმა და უცხოელმა დიპლომატებმა (განსაკუთრებით – აშშ საელჩომ) გამოიჩინეს. სამწუხაროდ, ყველა ბოლო ვადის დამთავრებამდე 4 დღით ადრე შეჩერებული შემოწმება შეიძლება ნებისმიერ მომენტში განახლდეს და ეს დამოკლეს მახვილი საგადასახადომ იმიტომ დატოვა პალიტრის თავზე, რომ მედია მორჩილი გახადოს! საბედნიეროდ, „პალიტრა“ ვაჟკაცურად უმკლავდება ფსიქოლოგიურ ტერორს.

**2011 წ. 7 ივლისიდან** დაიწყო ე.წ. ჯაშუში ფოტოგრაფების საქმე. დაკავებულ იქნა ის 4 ფოტოგრაფი, რომლებმაც გაავრცელეს 26 მაისის მიტინგის სასტიკი დარბევის ფოტომასალა (და ერთ-ერთი მათგანის მეუღლეც, რომელიც მალე გაასამართლეს და 10,000 ლარის გირაოთი გამოუშვეს, ხოლო მისმა ქმარმა ნახევარ საათში ჯაშუშობის შესახებ აღიარებითი ჩვენება მისცა...). აშშ საელჩოს ჩარევით დაკავებიდან მალევე გაანთავისუფლეს „Associated Press“-ის თანამშრომელი შაჰინ აივაზოვი, რაც ადასტურებს, რომ ეს თეთრი ძაფით ნაკერი საქმე პოლიტიკური შეკვეთა იყო და მართლაც რომ ჯაშუშობა ყოფილიყო, ამერიკის საელჩო ვერ მოითხოვდა „რუსი ჯაშუშის“ განთავისუფლებას(!). საბოლოოდ ჟურნალისტებზე განხორციელებული არნახული ზეწოლის შედეგად საქმე საპროცესო გარიგებით დამთავრდა და „ჯაშუშები“ – საქმის დეტალების საიდუმლოდ შენახვის პირობით – გაანთავისუფლეს! ფაქტობრივად ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ პოლიტიკური ოპონენტების მიმართ ის ნებისმიერი იარლიყის მიკერებაზე წამსვლელია, თან ისე, რომ არც არაფერს დაამტკიცებს და დაადასტურებს (ერთადერთი ნივთმტკიცება იყო სიმბარათი, რომელიც ვითომ რუსეთის ფსბ თანამშრომელს ეკუთვნოდა და ბოლოს თბილისელი პენსიონერის საკუთრება აღმოჩნდა)!

**2010 წ. აგვისტო** – სააკაშვილმა და ნაცმოძრაობამ საკუთარ ბიზნესმენებს საბოლოოდ ჩააგდებინეს ხელში ორივე ინტერნეტ პროვაიდერი – სილქნეტი და კავკაზუს ონლაინი. ამავდროულად, კავკაზუსის მფლობელობაში მყოფი ორივე ინტერნეტ რესურსი – ITV.ge და presa.ge ასევე ნაცმოძრაობის ერთგული პოლიციელ-ჟურნალისტ გურამ დონაძის პოლიციურ-ტელევიზიას რეალ-ტივის და ინტერნეტ რესურს droni.ge-ს დირექტორ გიორგი კაპანაძეს ჩაუვარდა ხელში.

**2011 წლის ნოემბერი** – თბილისის მერიამ წამოიწყო ტენდერი, რომ გაანადგუროს ის რამდენიმე ათეული პრესის ჯიხური, რომელიც გიგი უგულავას და ნაცმოძრაობის კონტროლის გარეთ რჩება. სატენდეროდ გამოცხადდა სწორედ ის ადგილები, სადაც ათეული წლებია „პლანეტა ფორტეს“, „ელვა-სერვისის“ და „მაცნეს“ პრესის ჯიხურები იყო განთავსებული. ელექტრონული ტენდერის ჩატარების მომენტში სერვერი გაითიშა და ზოგიერთმა მსურველმა მონაწილეობა ვერ მიიღო. ძველი ჯიხურები 2 დღეში ასაღებად გამოაცხადეს (მიუხედავად იმისა, რომ მათ აბსოლუტურ უმრავლესობას სრულიად სამართლიანად აქვს შეძენილი ეს ჯიხურები), ხოლო ახალი ჯიხურის მეპატრონეებს სრული თავისუფლება მიანიჭეს, რომ გაყიდონ იქ ნებისმიერი პროდუქტი (ხელისუფლების ერთ- ერთი პროპაგანდისტული მედიასაყვირის – ჟურნალ „ტაბულას“ მთ.რედაქტორის და შეთავსებით ქვეყნის უშიშროების მდივნის გიგა ბოკერიას თანამეცხედრის – თამარა ჩერგოლეიშვილის განცხადებით – ცოცხები დემოკრატიულ საზოგადოებაში ძალიან საჭირო პროდუქტია და არაა გამორიცხული, რომ ჯიხურებში შაურმა, ან ცოცხები გაიყიდოს, როგორც საკუთრების ახალი ბედნიერი მფლობელი გადაწყვეტს).

ყველა ზემოხსენებული შეზღუდვის და პრესის გავრცელების თანდათანობით შევიწროების გამოყენების ფონზე ხელისუფლებამ მწყობრ ლეგიონად აქცია სახელისუფლებო პროპაგანდისტები (ჟურნალისტები), რომელთაც ერთადერთ ამოცანად საქართველოს მოსახლეობის დაბრმავება, დაყრუება და მოტყუება დაუსახა, და რომლებიც ამ ამოცანას მართლაც შესაშური ძაღლური ერთგულებით ასრულებენ. შეიქმნა პოლიციელებით დაკომპლექტებული ტელევიზია – რეალ-ტვ, რომელსაც ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებში მრავალჯერ მოხვედრილი ექს-ჟურნალისტი და რეალურად ხელისუფლების სადამსჯელო მანქანის ერთ-ერთი უგვანი პირი – გურამ დონაძე და მისი ხელქვეითი გიორგი კაპანაძე ხელმძღვანელობენ. ხელისუფლების პროპაგანდისტული მანქანის ამ კოჰორტას ავსებენ გიგი უგულავას ცოლისდის მიერ მართული „პრაიმ-ტაიმი“ და სახელისუფლებო დოტაციაზე მყოფი, ერთ დროს პოპულარული და ამჟამად აბსოლუტურად ურეიტინგო – „24 საათი“. ეს სწორედ ის ბეჭდვითი მედიასაშუალებებია,რომლებიც მერიის მხრიდან პრესის თავისუფლებაზე ბოლო შეტევის დროსაც კი სოლიდარობას არ უცხადებენ სხვა ჟურნალისტებს, რადგან ისინი თავად არც არიან ჟურნალისტები, ისინი პროპაგანდის ნაცისტურ-ბოლშევიკური ტრადიციების გამგრძელებლები არიან და როგორც ტოქ-შოუ „არგუმენტებში“ ჟურნალისტ ელისო ჩაფიძესთან პრაიმ-ტაიმის წარმომადგენლის კამათიდან გამოჩნდა, მათ მერიის ეს ნაბიჯი თავიანთი მომავლის საფრთხედ, გაზეთების დისტრიბუციის და კონსტიტუციის 41-ე და 42-ე მუხლების დარღვევად არ მიაჩნიათ! და ეს არცაა გასაკვირი, ისინი ხომ ხელისუფლების დანამატები არიან და საფრთხეს კი არა, თავიანთ „ბედნიერ მომავალს“ სწორედ ნაცმოძრაობის ულრუბლო და მარადიულ ბატონობას უკავშირებენ. მათი რეალური შემოსავლები მათი პროსამთავრობო პოზიციის პროპორციულია.

დაბოლოს, **2011 წლის 30 ნოემბერს,** დილის 07:15-ზე ტელეკომპანია „მაესტროს“ მმართველი კომპანიის დირექტორი ეროსი კიწმარიშვილი 10 დაუდგენელ პირთან ერთად შეიჭრა დამოუკიდებელი კომპანია „მაესტროს“ ტერიტორიაზე, არ მისცა „მაესტროს“ თანამშრომელ ჟურნალისტებს ტელეკომპანიის ტერიტორიაზე შესვლის უფლება, გამოაცხადა, რომ მმართველობიდან აძევებს კომპანიის დამფუძნებლებს და გენერალურ დირექტორს (რისი უფლებაც წესდებით არ ჰქონდა), გამაგრდა შენობაში პოლიციის დახმარებით, რომელიც არ ამხელს, ვისი ბრძანებით მოქმედებს და ფაქტობრივად თავისი რეიდერული დაპყრობით ჩაშალა „მაესტროს“ გადაცემები. აღნიშნული ძალიან ჰგავს რუსეთის ხელისუფლების მიერ ტელეკომპანია ნტვ-ს რეიდერულ დაპყრობას. ხელისუფლება ისეთ პოზას იჭერს, რომ ეს თითქოს დამოუკიდებელი კომპანიის დამფუძნებლებსა და მმართველს შორის მიმდინარე ყოფითი გაუგებრობაა, თუმცა გასაგებია, რომ როდესაც 29 ნოემბერს „მაესტროზე“ გავიდა ხელისუფლების მთავარი თავის ტკივილის – ახალი ოპოზიციონერი კანდიდატის – მილიარდერი ბიზნესმენის და ფილანტროპის – ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ, ხელისუფლებამ მოთმინება დაკარგა და ეროსი კიწმარიშვილის ხელით თავისუფალი სიტყვის და აზრის გამოხატვის ერთ-ერთი ბოლო კუნძულის მოსპობას შეეცადა. ხაზი უნდა გავუსვათ: თავის პირველივე გამოსვლებში ბატონი ივანიშვილი საკმაოდ უარყოფით აზრებს გამოთქვამდა ბ-ნი კიწმარიშვილის როლზე, რომელმაც დააფუძნა ოპოზიციური პარტია – „ქართული პარტია“, რომლის მთავარი მოქმედების გეგმა პრეზიდენტ სააკაშვილის რეჟიმის ქუჩის აქციებით დასრულება იყო. გასაგებია, რომ კიწმარიშვილის და ხელისუფლების ინტერესები, სულ ცოტა, ერთმანეთს დაემთხვა. ხელისუფლება ისევ ცდილობს სხვის ზურგს ამოფარებულმა მოახერხოს დამოუკიდებელი მედიასაშუალების დამუნჯება და საზოგადოების სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში გადაყვანა.

მივმართოთ ყველა უფლებისდამცველ ორგანიზაციას, ჟურნალისტთა თავისუფლების დამცველ პროფესიულ ორგანიზაციებს – Human Rights Watch-ს, საქართველოში განთავსებულ დიპლომატიურ კორპუსს – მისცენ შეფასება მიხეილ სააკაშვილის და მის მიერ მართული მმართველი პარტიის და მთავრობის მთელ რიგ მწყობრ მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია საქართველოს მოსახლეობისათვის თავისუფალი ინფორმაციის შეზღუდვისაკენ, ჟურნალისტთა საქმიანობის დაბლოკვისაკენ, ცენზურისა და თვითცენზურის დამკვიდრებისაკენ.

**სოლომონ თერნალი,**

Presage.tv

# მტრული, თავდაცვითი რეაქცია



**უცხო თვალით**

## თომას დე ვაალი: ვისურვე, საქართველო ასეთი დამოკიდებული არ ყოფილიყო დიდ პიროვნებებზე - სააკაშვილზე, პატრიარქზე და მილიარდერზე



### ანალიტიკოსი თომას დე ვაალი ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის დეტალებს იხსენებს

**წერილი მოგვაწოდა „პირველმა“.**

**თბილისში, სასტუმროს ფოიეში ვდგავარ. „თომას!“ — შორიდან მეძახის ახალგაზრდა წვერგაუპარსავი ქართველი და მიახლოვდება. მე თავს ვუქნევ. „ბიძინა“, — მეუბნება ის ერთადერთ სიტყვას. ასე დაიწყო ჩემი წინასწარ დანიშნული შეხვედრა ადამიანთან, რომლის შესახებაც ყველაზე მეტს ლაპარაკობენ საქართველოში. „ლენდკრუიზერში“ ჩავსხედით, თბილისის ერთი-ერთი ამაღლებული გორაკისკენ დავიძარით და პატარა კერძო ხეივანი გავიარეთ. ელექტროჭიშკარი ფრთხილად გაიღო და ჩვენ შუშისა და ლითონის კონსტრუქციის პირისპირ აღმოვჩნდით. ეს ფუტურისტული სასახლე, რომელსაც გარშემო თანამედროვე სკულპტურების პატარა ტყე აკრავს, იაპონელი არქიტექტორის შინ ტაკამაცუს ნამუშევარია. მასთან მისი თანაშემწე შემიძღვა.**

ბიძინა ივანიშვილი ტანმორჩილია, პატარა ელფივით, უზადოდ ჩაცმული და მომღიმარი. მილიარდერთან ინტერვიუ მანამდე არასოდეს მქონია, თუმცა ამას ძალიან უშუალო მანერები აქვს. კედლებზე დაკიდებული ნახატების თვალიერებით ვიწყებთ: ეგონ შილე, კლოდ მონე, ლუსიენ ფროიდი. აღიარებს, რომ მაღალი დონის ასლებია, ორიგინალები კი ლონდონში ინახება. იგი საკმაოდ თავისუფლად, უბრალოდ საუბრობს, თუმცა იმასაც ვამჩნევ, რომ ამ სიმშვიდის უკან თავდაჯერებულობა და თვითკონტროლი დგას. ინტერვიუს ჩასაწერად ვსხდებით. ის — ლუსიენ ფროიდის ნამუშევრის ქვეშ, მე — მის პირდაპირ. ვუსვამ კითხვას, რომელიც გასული თვის მანძილზე მისთვის ასჯერ მაინც დაუსვამთ: „რამ გადაგაწყვეტინათ ქართულ პოლიტიკაში წასვლა“?. გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ივანიშვილმა ქართული პოლიტიკა ერთ თვეში თავდაყირა დააყენა. ქვეყანამ მშფოთვარე 10 წელი გამოიარა. ჯერ 2003 წლის მშვიდობიანი „ვარდების რევოლუცია“ იყო, რომელმაც ედუარდ შევარდნაძის გადაღლილ, მოძველებულ რეჟიმს დაუსვა წერტილი. შემდეგ ქვეყნის სათავეში მოვიდა 36 წლის მიხეილ სააკაშვილი — ევროპის ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი, რომელიც სერიოზულ რეფორმებს ჩაუდგა სათავეში. მერყევი სააკაშვილი არაღიარებული რეგიონების გამო რუსეთთან კონფრონტაციაში ჩაება, რაც 2008 წლის აგვისტოში სრულმასშტაბიანი კონფლიქტით დასრულდა. ომში დამარცხების შემდეგ სააკაშვილის პოპულარობა დაეცა, თუმცა მან მაინც მოახერხა ხელისუფლების შენარჩუნება. მან და მისმა პარტიამ თანდათანობით პოზიციები აღიდგინეს. აღმასრულებელ, საპარლამენტო, ადგილობრივ ხელისუფლებებზე და მედიაზე ვირტუალური მონოპოლიის წყალობით ისინი 2012-13 წლების მოახლოებული არჩევნებისთვის კვლავ სხვებზე უპირატეს პოზიციაში აღმოჩნდნენ.

ამ დროს გამოჩნდა მილიარდერი. რუსეთში ქონების დაგროვების შემდეგ ივანიშვილი მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. მის ქონებას Forbes 5,5 მილიარდ დოლარად აფასებს. ივანიშვილი წლების მანძილზე ქველმოქმედებით აქტიურად იყო დაკავებული — არემონტებდა და აშენებდა სკოლებს, თეატრებს, ეკლესიებს, აფინანსებდა ხელოვნების წარმომადგენლებს. თუმცა საჯაროდ არასოდეს გამოჩენილა. ის იმდენად გასაიდუმლოებულად ცხოვრობდა, რომ „გრაფი მონტე-კრისტოც“ კი შეარქვეს. თუმცა ამ ისტორიაში ერთ ექსცენტრულ გადახვევას აქვს ადგილი: მისი ვაჟი ბერა ლოს-ანჯელესში საცხოვრებლად გადავიდა და საქართველოს ყველაზე ცნობილ რეპერად იქცა. რაღაც პერიოდში თავისი პოპულარობით საკუთარი მამაც კი დაჩრდილა. 2011 წლის 7 ოქტომბერს კი ივანიშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ პოლიტიკაში მოდიოდა და სააკაშვილს შეცვლიდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამ განცხადებიდან ერთი თვის შემდეგ ჩამოვედი, ქვეყანაში საუბრების ორი მესამედი კვლავაც ივანიშვილს ეთმობა. ბოლო ერთი წლის მანძილზე 10-12 ადამიანი, რომელთაც თბილისში ვესაუბრები ხოლმე (ძველი მეგობრები, ჟურნალისტები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, თბილისში მცხოვრები უცხოელებიძ დაახლოებით ამას მიმეორებდნენ: „სახელისუფლებო პარტიამ ბევრი კარგი რამ გააკეთა, თუმცა ისინი იმდენად არიან ძალაუფლების შენარჩუნებაზე ფოკუსირებული, რომ ხალხთან კავშირი დაკარგეს. მათ პიარ მესიჯები რეალობაში ეშლებათ. ძალიან ბევრ ადამიანს ყელში ამოუვიდა ეს სიტუაცია. თბილისში, ძირითადად, დემოკრატიული პროცესების შენელება აშფოთებთ, რეგიონებში კი უკმაყოფილების მთავარი მიზეზი უმუშევრობაა. თუმცა ოპოზიცია იმდენად მარგინალიზებულია, რომ სანდო ალტერნატივა არ ჩანს“.

ამჯერად ჩემი მეგობრები სტატუს-კვოს შეცვლის პერსპექტივით მოხიბლული მომეჩვენნენ. თუმცა თავად ივანიშვილისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. სხვადასხვა მოსაზრებები გამოითქვა: „მან თამაშის ახალი წესები შემოიტანა და ეს კარგია საქართველოსთვის“; „მისი მანერები არ მომწონს. ის მაშინებს“; „ხალხი უკვე ცინიკურად იყო განწყობილი მომავლის მიმართ, ახლა მათ იმედი გაუჩნდათ“; „ამ ეტაპზე ეს ერთი კაცის შოუა. ვნახოთ, მოახერხებს თუ არა გუნდის და პროგრამის ჩამოყალიბებას“. იმ რიგითი მოქალაქეების განწყობა, რომელთაც ვესაუბრე, შემაშფოთებლად ენთუზიასტურია. ჩემმა ძალზე არამეცნიერულმა გამოკითხვამ, რომელიც ტაქსის მძღოლებში და აპოლიტიკურად განწყობილ ნაცნობებში ჩავატარე, აჩვენა, რომ ათიდან ათი ადამიანი ბიზნესმენს უჭერს მხარს. განსაკუთრებით ხშირად ისმოდა შემდეგი ფრაზა:

„მან ძალიან ბევრი გააკეთა საქართველოსთვის“. ივანიშვილის გამოჩენაზე ხელისუფლებას მტრული და თავდაცვითი რეაქცია ჰქონდა. მას საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს, რითაც მისი პოლიტიკაში მონაწილეობა უნდა აღეკვეთათ. ქართული პასპორტი კიდევ უფრო არადამაჯერებელი არგუმენტით მის მეუღლესაც ჩამოართვეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა ივანიშვილმა მოქალაქეობის აღდგენის თხოვნით პირადად სააკაშვილს უნდა მიმართოს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მას არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მხარდაჭერა აქვს. კვირის ქადაგებისას პატრიარქმა განაცხადა, რომ ეს პატრიოტი კაცი საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის ღირსია. ივანიშვილის „ქართუ ბანკის“ საქმიანობის აგრესიული გამოძიება, რომელსაც კლიენტების დაფრთხობის აშკარა მიზანი ჰქონდა, ასევე უკურეაქციით დასრულდა. წარუმატებლად დასრულდა პრო-სახელისუფლებო მედიის მიერ ივანიშვილის პრესკონფერენციის ჩაშლის მცდელობაც. ამ ყველაფრის გამო თბილისში თვემ დრამატულად ჩაიარა. ქართულ საჯარო სივრცეში რაღაცის ნაკლებობა იყო და ის ივანიშვილმა გამოაღვიძა. თუმცა როგორც აკადემიკოსმა გიორგი გოგსაძემ მითხრა, „საკითხი ივანიშვილის ფენომენს უფრო ეხება, ვიდრე მის პიროვნებას“. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი პირველ რიგში, ცვლილებების ნიშანია და უკვე შემდგომ — გამორჩეული პიროვნება. მიუხედავად ამისა, ადრე თუ გვიან, მნიშვნელოვანი გახდება, თუ როგორი პიროვნებაა ის.

ივანიშვილთან ჩემი 90-წუთიანი ინტერვიუც დაიწყო. კითხვას, „რატომ“? გრძელ პასუხს სცემს. ის ამჟამინდელ ხელისუფლებას ბევრ რამეში დაეხმარა და 2008 წლამდე სააკაშვილსაც ბევრჯერ შეჰხვედრია. ის აფინანსებდა ჯარს და სკოლებს, თუმცა ხელისუფლებას იმის გამო გამოეყო, რომ მისი აზრით, სააკაშვილმა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გააყალბა. ამის შემდეგ ივანიშვილმა ქართული ოპოზიციის „შესწავლა“ დაიწყო. როდესაც დარწმუნდა, რომ ოპოზიციას ცვლილებების ძალა აღარ შესწევდა, სიტუაციაში ჩართვა თავად გადაწყვიტა.

„რა თქმა უნდა, ოპოზიციას რომ მოეხერხებინა და ხელისუფლებაში ჩემი დახმარების გარეშე მოსულიყო, არ მოვიდოდი პოლიტიკაში. ოპოზიციას ხელისუფლებაში მოსვლა უჩემოდ არ შეუძლია, მე მას ამაში დავეხმარები“. მან ქართულ საზოგადოებას დაღლა შეატყო: „ეს რეფორმები ხალხისთვის შოკისმომგვრელია. თითოეული რეფორმა, თითოეული ნაბიჯი მოსახლეობას შოკში აგდებს“. მისი თქმით, ხელისუფლებამ „ფასადური ეკონომიკა, ყველაფერი ფასადური, პოტიომკინის სოფელი“ შექმნა, ბიზნესი დღეს ნაკლებად თავისუფალია, ვიდრე შევარდნაძის პერიოდში და ამას ხელისუფლებამ შემოსავლებზე, მედიაზე და სასამართლო სისტემაზე მკაცრი კონტროლით მიაღწია“. ვეუბნები, რომ ქართველები რადიკალური ცვლილებებისგან გადაიღალნენ და გარანტია სჭირდებათ, რომ თუ რეჟიმი შეიცვლება, ყველაფრის შენება ისევ ნულიდან არ დაიწყება. ის მეთანხმება და ამბობს, რომ მართლაც ბევრ ადამიანს, რომელიც თავის საქმეში პროფესიონალია, სურს, სამსახური შეინარჩუნოს, უკეთესი კარიერა გაიკეთოს.

ივანიშვილი სამ რეფორმას ახსენებს, რომლებიც მხოლოდ ვიწრო სეგმენტზეა გათვლილი: არაკორუმპირებული პოლიცია, ჯარის რეფორმირება და განათლების სისტემაში კორუფციის მოსპობა. ის, რაც ადამიანებს ყველაზე მეტად აშფოთებთ, ივანიშვილის ზედმეტად თავდაჯერებული ტონია. მილიარდერი ხშირად იმეორებს: „ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში“! ვეუბნები, რომ საქართველოს კიდევ ერთი მესია არ სჭირდება. ქვეყნის სამივე პრეზიდენტი — ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ სააკაშვილი რიგრიგობით სარგებლობდნენ საქართველოს მხსნელის სტატუსით, რაც არასდროს მართლდებოდა ხოლმე და ხალხი იმედგაცრუებული რჩებოდა. ივანიშვილი ამ კითხვას ელოდება. „ჩემს მხარდამჭერებს სულ იმას ვთხოვ, რომ ჩემგან კერპი არ შექმნან“! — ამბობს სიცილით, შემდეგ კი საკუთარი სიტყვების გასამყარებლად დასძენს, რომ მოკავშირედ ორი დამოუკიდებელი და გამოცდილი ოპოზიციური პარტია შეარჩია. მათ შორის ერთ-ერთი ირაკლი ალასანიას, გაეროში საქართველოს ყოფილი ელჩის პარტიაა.

ყველაფრის მიუხედავად, მისი გეგმა ძალიან რადიკალურია და მასში მთავარი მოქმედი გმირი თავადაა. წარმატების მიღწევას იგი საქართველოს ახალი ხელისუფლების ფორმირებითა და სისტემის შეცვლით გეგმავს, შემდეგ კი პოლიტიკიდან წავა. „გარანტიას გაძლევთ, რომ ძალაუფლებას სწრაფად დავთმობ. ორი წლის შემდეგ, ან ოდნავ მოგვიანებით კიდევ შევხვდებით და დარწმუნდებით, რომ ძალაუფლებას არ ვებღაუჭები“. შემდეგ რუსეთზე კითხვის ჯერიც დგება. ეს ის საკითხია, რომელმაც 2008 წლის შემდეგ საქართველოს პოლარიზაცია მოახერხა. ნებისმიერი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, რომელიც რუსეთთან ურთიერთობების გამო სწორებაზე საუბრობს, დგება იმ საფრთხის წინაშე, რომ პროსახელისუფლებო მედია არაპატრიოტის იარლიყს მოარგებს. ეს დანაღმული ველია და ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს, რომ აქედან უსაფრთხოდ გამოვიდეს. „ერთის მხრივ, საქართველო აგვისტოს ომის დროს ძალიან დაზარალდა. ვინც არ უნდა იყოს პასუხისმგებელი ომის წამოწყებაზე, საქართველოს მიმართ აგრესიით რუსეთმა დიდი შეცდომა დაუშვა. მეორეს მხრივ, კარგად მესმის, რომ სიტუაციის დრამატიზება არ არის საჭირო. ჩვენ ისინი არ უნდა ვწყევლოთ, როგორც ამას სააკაშვილი აკეთებს. ამ სტაგნაციიდან თავის დასაღწევად ჩემს გუნდს და მე რუსეთის ხელისუფლებასთან საუბრის დაუყოვნებლივ დაწყება მოგვიწევს“, — ამბობს ის.

მაგნატი დასძენს, რომ უკვე დაიწყო რუსეთში თავისი ბიზნესის გაყიდვის პროცესი. ამ ბიზნესის მთლიანი ღირებულება, მისი ვარაუდით, 1.5 მილიარდი დოლარია და იგი იმედოვნებს, რომ 1,5 მილიარდს მაინც მიიღებს. საუბრის შემდეგ შენობა და ხელოვნების გალერეა დამათვალიერებინა. ერთ-ერთ ყველაზე დიდ ოთახში სრული სიცარიელეა, მხოლოდ სტეინვეის პიანინო დგას ცენტრში („პიანინოზე მთელი ჩემი ოჯახი უკრავს“, — ამბობს ის). შუშის უზარმაზარი ფანჯრიდან თანამედროვე სკულპტურებით სავსე ტერასა ჩანს, შემდეგ ხედი სააკაშვილის ახალ საპრეზიდენტო შენობაზე, ბოლოს კი სამების ტაძარზე იშლება, რომლის მშენებლობაც ივანიშვილმა დააფინანსა. ამ მომენტში თავში ერთმა აზრმა გამიელვა: ვისურვე, საქართველო ასეთი დამოკიდებული არ ყოფილიყო დიდ პიროვნებებზე: სააკაშვილზე, პატრიარქზე და მილიარდერზე, რომლის გვერდითაც ვიდექი.

ის შთამბეჭდავ და ენიგმურ მიქს გვთავაზობს: ლუსიენ ფროიდი და მართლმადიდებელი ეკლესია, ლოს-ანჯელესელი რეპერი და პატრიარქი, ბიზნეს-კარიერა რუსეთში და პროდასავლური მოკავშირეები, თავშეკავებული და რკინასავით მტკიცე. ამ ახალ ქართულ ფენომენთან გატარებული 90 წუთის შემდეგ დავასკვენი, რომ ის გულწრფელია და არავისი პროექტი არ არის, საკუთარი თავის გარდა. შევნიშნე ისიც, რომ პრობლემის გადაჭრის მისი ხედვა — ამ შემთხვევაში მთავრობა, რომელიც არ მოსწონს — ერთი ადამიანის ინტერვენციით არის შესაძლებელი. მისი პროგრამა ახლა იწერება. მიუხედავად იმისა, რომ მგონია, ქართულ პოლიტიკას შენჯღრევა სჭირდება, გამიჩნდა შიშიც, რომ ქართველები ამ ახალ ფენომენს მხოლოდ მისი ფულის გამო ირჩევენ და კიდევ იმიტომაც, მასში ახალ მხსნელს ხედავენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრობლემა იმდენად არა ივანიშვილი, არამედ თავად ქართველები და მათი მოლოდინია. ეს იქნება დიდი ტესტი პატარა ქვეყნისთვის — გაუძლოს ივანიშვილისთანა მნიშვნელოვანი ფიგურის ქარიზმას, რაც უნდა გულწრფელი მიზნები ამოძრავებდეს მას“.

**ღია წერილი**

# გადავარჩინოთ ბორჯომის ტყეები

### საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ალექსანდრე ხეთაგურს, საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრს გოგა ხაჩიძეს

ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობა გაცნობებთ, რომ ბორჯომის საკურორტო ტყეებში საგანგაშო მდგომარეობაა, 2008-2010 წლების ხანძრებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ჩვენს უნიკალურ საკურორტო ტყეებს. ტყეების აღდგენა დღემდე არ დაწყებულა. ამ სავალალო ვითარებას დაემატა ჩვენი ხეობის ტყეებში გავრცელებული საშიში მწერის — ქერქიჭამია ტიპოგრაფის აგრესიული მოქმედება, მავნებელი ანადგურებს ნაძვნარ კორომებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ბორჯომის სიახლოვეს, პლატოს უნიკალური ტყის მასივის საგანგაშო მდგომარეობა, სადაც ათასობით ნაძვისა და ფიჭვის ასწლოვანი ხეები ისე გახმა, რომ მისი სამრეწველო გამოყენებაც შეუძლებელია. თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე წელიწადში ბორჯომის ნაძვნარი აღარ იქნება.

უმორჩილესად გთხოვთ, მოავლინოთ კომპეტენტური სპეციალისტები შექმნილი სიტუაციის შესასწავლად და ქმედითი ღონისძიებების განსახორციელებლად საშიში მავნებლის — ქერქიჭამია ტიპოგრაფის დასამარცხებლად.

ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობის წევრები:

**ლევან გოცირიძე,** ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; **გოდერძი კურტანიძე,** ბორჯომის საპატიო მოქალაქე; **თანგული ორთოიძე,** მხატვარ-დიზაინერი; **რობერტ ცუცქირიძე,** ჟურნალისტი; **ზაურ ლაზარაშვილი,** ენერგეტიკოსი; **უშანგი ჯანგირაშვილი,** ჟურნალისტი; **თამაზ ჩიკვაიძე,** ინჟინერ-ტექნოლოგი; **ვალერიან ლომიძე,** გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი.

◉ ცხელ გულზე

# ისემც თქვენ რა გითხარით, ვითომც დემოკრატო ევროპელებო!



**მივდივარ და ფეხი უკან მრჩებაო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთ დღეში ვარ ახლა. საქართველოს მიერ არჩეულ დასავლურ, ევროპულ კურსთან დაკავშირებით მოგახსენებთ ამას.**

**არა, მთელი დანარჩენი ქართველობის მსგავსად მეც ამ კურსის ერთგული და ევროპული ოჯახის წევრობის მსურველი ვარ, მაგრამ როდესაც აშკარად ვხედავ, რომ იქ, იმ საოცნებო ევროპაში, ყვავის ის, რაც ყველასთვის ცნობილ ჯარისკაც შვეიკზე უფრო ყოჩაღი ჩვენი ვარდოსანი ხელისუფლების ურყევი ნება-მოქმედებით საბოლოოდ დამარცხდა — თუნდაც კორუფცია (როგორც ელიტური, ისე „წვრილფეხა“), სიყალბე, მოჩვენებითობა, შეკვეთილი და მხოლოდ მავანთა ინტერესებს მორგებული ე. წ. საზოგადოებრივი აზრის კვლევები თუ გამოკითხვები, ევროპისკენ გაჩქარებულს ფეხი უკან მრჩება.**

**რატომ?**

თუნდაც იმ ერთი ინფორმაციის გამო, ახლახან რომ გამოქვეყნდა პრესაში: **ევროპაში ჩატარებული გამოკითხვით, ამ კონტინენტზე ყველა მაჩვენებლის მიხედვით საცხოვრებლად ყველაზე მოხერხებულ და უსაფრთხო ქალაქად ვენა უღიარებიათ.**

ამის წამკითხველს გულმა, ცოტა არ იყოს, რეჩხი კი მიყო, მაგრამ, ევროპისკენ გეზაღებულს ნაბიჯი არ შემინელებია.

**ხავსს მოჭიდებულმა საპრიზო სამეული ჩავათვალიერე — არაფერი! ხუთეული — ისევ არაფერი!! ათეული — კვლავ „არსაიდან ხმა, არსით...!!!“**

და სწორედ მაშინ დამემართა ლამის ის, რაც ბუბას პერსონაჟს მოუვიდა „მიმინოში“, როცა თავის კითხვაზე რუბიკას ყინჩი პასუხის მოსმენისას წამოიყვირა — „ა ბარჟომ? სპერვა უზნაი, პატომ გავარი!“

ჰოდა, ოდნავ ნაბიჯშენელებულმა მეც წამოვიყვირე: **კი, მაგრამ საქართველო და თბილისი?** ეს არის თქვენი ობიექტურობა-მიუკერძოებლობა, სიმართლის ერთგულება-მსახურება და სიყვარული, დემოკრატო ევროპელებო?

**სად არის ჩემი ქვეყანა, რომელიც ყოველმხრივ მიუკერძოებელ-მოუსყიდველი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აქამომდე ჩატარებული კვლევებისა თუ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების შედეგებით მუდამ პირველზე თუ არა, მეორეზე (მაგალითად, ახალი ზელანდიის შემდეგ) ან, უკიდურეს შემთხვევაში, მესამე ადგილზე მაინც მუდამ გადიოდა (ასე რომ არ იყოს, რაო, ჩვენი ხელისუფლება მოგვატყუებდა, ასეაო?)?**

აქ კიდევ!

და ამით ფეხარეულს უცებ გონება გამინათდა! ეს გამოკითხვა ერთ ცნობილ (როგორც გვიმტკიცებენ!ძ ორგანიზაცია „ერკელს“ ჩაუტარებია.

და ვინ შეიძლება იდგეს ამ ტენდენციური ორგანიზაციის უკან, თუ არა ის გავლენიანი ევროპელი პოლიტიკოსი, რომლის ოდნავ შეცვლილი სახელიც ჰქვია იმ „ობიექტურ“ ორგანიზაციას?

დიახ, დიახ, მართალი ბრძანდებით, ძვირფასო მეგობრებო, სწორედ ის ქალბატონია, ანგელა მერკელი (გეხსომებათ, თავის დროზე სწორედ მან დაგვიდო კვანტი „მაპის“ მიღების მოსურნე ქართველებს, მაგრამ მის ჯინაზე, როგორც შვეიკზე ყოჩაღი ჩვენი ხელისუფლება გვარწმუნებს „მაპზე“ უკეთესი რამ მაინც მივიღეთ!ძ!

მიკერძოებად არ ჩამითვალონო და, პირველ ადგილზე ვენა გააყვანინა, სამაგიეროდ ათეულში სამი გერმანული ქალაქი „გააძვრენინა“ — **მიუნხენი, დიუსელდორფი და მაინის ფრანკფურტი!**

**თბილისი?**

**დავიწყო ახლა ყველა იმ ბოლოდროინდელი საოცარი მიღწევა-ღირსების ჩამოთვლა, რომლებითაც ამაყობს ჩვენი ხელისუფლება და რომელთა გამოისობითაც ყველა გამოკვლევა-გამოკითხვაში წესით, სულ მცირე, საპრიზო სამეულში მაინც უნდა ვხვდებოდეთ?**

კი უნდა ვხვდებოდეთ, მაგრამ ამისთვის სულ მცირე, ის მაინც არის საჭირო, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა-ფორმირების ბერკეტები „ერკელ-მერკელებს“ კი არა, ჩვენი ხელისუფლების დარ დემოკრატიის შუქურებს ეპყრათ ხელთ.

სხვაგვარად, თავადაც ნახეთ, რაც მოხდა და ხდება!

**ჰოდა, ამის გამოც, ისემც თქვენ რა გითხარით, ვითომც დემოკრატო ევროპელებო, თქვენ დემოკრატიისა რამე არ გეცხოთ!**

**რუსლან რუსია**

◉ ჭირი დანახული ჯობს

# ნუთუ წამის დაპატარავებას ზოგიერთის ტვინის დაპატარავებაც მოჰყვა?!

**არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად ასეთი კითხვა გამიჩინა პრეზიდენტ სააკაშვილის კარის ეგრეთ წოდებულმა გულახდილმა ჟურნალისტმა, ყოველკვირეულ „Weekend“-ის ფილოსოფიური პუბლიცისტიკის ლამაზმანმა ქეთუსია იგნატოვამ, რომელიც, როგორც ჩანს, თავს ისეთ ქერის ორმოში გრძნობს, რომ თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალების თავგადაკლული სამსახური მიუჩნევია. რა ქნას, სხვისი იმედი არა აქვს, მთელი რვა წელიწადი მარტო ამ ერთი პარტიის ჯარისქალობას მოანდომა და აკი მიაღწია კიდეც იმას, რომ ჩვენი ცადაზიდული პრეზიდენტის ერთადერთი „კითხვადი“ ავტორი გახდა.**



ასეა ეს. ალოგიკურშიც კი ლოგიკურ კავშირს ეძებს... როცა ტვინი ფილოსოფიურად გაქვს მოწყობილი, ბევრიც რომ ეცადო, ფილოსოფიურ სიღრმეებს გვერდს ვერ აუვლი. სწორედაც აგრე დაემართა ამ ჩვენს ლამაზმან ფილოსოფოს-პუბლიცისტს „Weekend“-ის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ბოლო პუბლიკაციაშიც, რომელშიც საქვეყნოდ წუხს, რომ დღეს, 21-ე საუკუნეში წამი დაპატარავდა! წამის დაპატარავებას კი, ლოგიკურად, წუთის, საათის, დღეღამის, კვირის... შემცირება-შემოკლება მოჰყვა! და ნახეთ, როგორ ოსტატურად ახმიანებს საყვარელი პრეზიდენტის მიერ „ქვეყნის დაჩქარებული აღმშენებლობის პოლიტიკას“: დრო აღარაფერზე გვყოფნის. სულ ჩქარობ. მომხდარის გაანალიზებას, გააზრებას, გაზიარებას ვერ ასწრებ... და ყველაფერი თურმე ისედაც დაპატარავება- დამოკლების შედეგი ყოფილა.

ამ ღრმა ფილოსოფიურ აღმოჩენას ისევე ახალი ფილოსოფიური აბდაუბდაგადასკუპდა მოსდევს: ამ ყველანაირად სამაგალითოდ აყვავებულ ვარდისფერ საქართველოში ერთადერთ მთავარ პრობლემად თურმე ოჯახის საყვარელი ძაღლის დასაფლავებაღა რჩება (ლაბრადორი როკო ახალ ტუტანჰამონივით დაუსაფლავებიათ და მესაფლავეთათვის თავისი თოვლივით ფითქინა ხელი ჩვენს ლამაზმან ავტორსაც წაუშველებია!ძ ჰაი, ჰაი, რომ ჯერ „ძაღლების დამკრძალავი ბიურო არა გვაქვს“, ეს მაშინ, როცა დასავლეთში „შინაური ცხოველების საპარიკმახეროების, დასასვენებელი სახლების პარალელურად სასაფლაოებიც არსებობს და, ის კი არა, ევროპასა და ამერიკაში ძაღლებს, კატებს საფლავებზე წარწერებს და ოქროსფერ ჩარჩოში სურათებსაც კი უკეთებენ“.

ეს რაც ძაღლებისა და კატების სიყვარულს შეეხება... მაგრამ ვაი რომ ჩვენს, 21-ე საუკუნის შესაბამისად, გაფილოსოფოსებულ ავტორს, ცხოველთმოყვარე ქეთუსია იგნატოვას სიყვარულის ამავე დონეზე სძულს ის ადამიანები, რომელთაც „სააკაშვილის პოლიტიკური ანგარიშსწორება“ განუზრახავთ (აქ განგებ არ ვასახელებ ამ ადამიანებს!ძ ხომ ხვდებით ავტორის ნართაულობას და ქარაგმულობას: უწყინარი ძაღლები მეტ პატივისცემას იმსახურებენ, ვიდრე სააკაშვილის „პოლიტიკური მტრები“! მეტილა ერთგულება განაღა შეიძლება?! ძაღლური ერთგულებაო, ნამდვილად ამაზე თქმულა!

ახლა სტატიის დასასრულს არ იკითხავთ? ჩვენთვის, ვინც ბარიკადების მეორე მხარეს ვდგავართ, ანუ „რელიგიურ-ფილოსოფიურ-ავანტიურისტულ აბდაუბდაში მოყოლილ-ჩარჩენილთათვის“ წამის დაპატარავებით გამოწვეული ქაოსი თურმე სულ მთლად დამღუპველი ყოფილა...



ასე რომ, ჩვენ ყველას შველა გვინდა! სასწრაფოდ! დრო შემცირდა! თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ, ამ ნაციონალურ საძოვარზე კარგა გვარიანად გაჯეჯილებული და „ფილოსოფიური ტრანსიდან ჯერაც ვერგამოსული“ ქეთუსიას აზრით, თუ დრო შემცირდა ჩვენთვის, ანუ სააკაშვილის საწინააღმდეგო „აბდაუბდაში ჩარჩენილთათვის“, ბუნებრივია, იგივე დრო გაიზარდა ამ „აბდაუბდის“ გარეთ დარჩენილთათვის, ანუ გზიანშუქიან-გაზიანი, მაგრამ მშიერი საქართველოს პირველამყვავებელი სააკაშვილის გუნდისთვის, რაც ნაციონალთა მესამე ვადით დარჩენას ნიშნავს.

და ვისაც ეს აღარ გვინდა, თურმე იმ ძაღლებს ვგავართ, რომელთაც მერაბიშვილი გვერჩის და გვებრძვის... როგორც ქვეყნის მტრებს...

აი ასეთი ყოფილა, ჩვენი დროის ეკალკალამა ზანოვანის ქეთუსია იგნატოვას აზრით, ძაღლური ერთგულების ძაღლურივე ფილოსოფიის არსი!..

**გურამ წიკლაური**

◉ გამოფენა-გაყიდვა

# „ვაჩუქოთ ერთმანეთს სიყვარული“

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ოფისში, პროექტის „ვაჩუქოთ ერთმანეთს სიყვარული“ ფარგლებში თბილისის №55 საჯარო სკოლის უმცროსკლასელთა ნახატების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა მოეწყო.**

კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდში, პროექტის „ვაჩუქოთ ერთმანეთს სიყვარული“ ფარგლებში გამოფენები რეგულარულად ეწყობა, რომლებშიც მონაწილეობენ თბილისის სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ამჯერად პროექტის ფარგლებში ფონდი თანამშრომლობას იწყებს არასამთავრობო ორგანიზაციასთან „მზრუნველი მშობელი ინვალიდი ბავშვებისთვის“. ამ ორგანიზაციის მიზანია გაზარდოს საზოგადოების, სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა ყველა იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც გავლენას ახდენს ინვალიდი და უნარშეზღუდული ბავშვების ცხოვრებაზე. საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვის შედეგად შემოსული თანხა, სათამაშოები და სხვა ნივთები გადაეცემა მათ და მოხმარდება გაჭირვებულ ოჯახებს ინვალიდი და უნარშეზღუდული ბავშვებისათვის მედიკამენტებისა და სხვა საჭირო ნივთების შესაძენად.

პატარა მხატვრების მიერ დანახული სამყარო მართლაც მკვეთრი და კაშკაშა ფერებით იყო დახატული. საგამოფენო დარბაზში გამოფენილი სურათები ნებისმიერი ბავშვის გემოვნებას დააკმაყოფილებს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს ხედები, საოჯახო პორტრეტები, მათ მიერ შექმნილი ნახატების ყიდვა ნებისმიერ მსურველს შეეძლება, ამით კი არაერთ გაჭირვებულ ბავშვს გაულამაზებენ კიდევ ერთ დღეს.

უმცროსკლასელები თავიანთი ნაშრომებით კმაყოფილნი არიან და ამბობენ, რომ მსგავს პროექტებში მონაწილეობას მომავალშიც სიამოვნებით მიიღებენ.

ამ აქციით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდი ეხმაურება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს.

ამ ღონისძიების ორგანიზატორები არიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდი და კულტურის ხელშეწყობისა და განვითარების ფონდი.

**ირინა ოზოლაშვილი**

◉ ინფორმაცია

## სამთაწყაროსა და ფიროსმანში მცხოვრები 235 ოჯახი ყურძნის ფულს ითხოვს

**დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროსა და ფიროსმანში მცხოვრები 235 ოჯახი, ყურძნის ფულის დავალიანების დაფარვას ითხოვს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს დაზარალებულმა გლეხებმა განუცხადეს, კუთვნილი ფულის აღებას 7 წელია უშედეგოდ ცდილობენ.**

**— 2004 წელს, ყურძენი სოფელ ქვემო ქედის ღვინის ქარხანაში ჩავაბარეთ. ჩვენი დავალიანება საერთო ჯამში 538 ათასი ლარს შეადგენს. იმ პერიოდში ღვინის ქარხანამ „სახალხო ბანკიდან“ კრედიტი აიღო, რომ ჩვენთვის თანხა გადაეხადა, თუმცა მხოლოდ თანხის ნაწილი გაგვისტუმრა. ღვინის ქარხანას ბანკის ვალი დაუგროვდა და ხელშეკრულების თანახმად მისი უძრავ-მოძრავი ქონება ბანკს უნდა გადასცემოდა. ამჟამად ღვინის ქარხნის ყოფილი დირექტორი საზღვარგარეთ იმყოფება. ქარხანა კი დაშალეს და გაყიდეს. ერთ-ერთი ჩვენი თანასოფლელი დახმარების სათხოვნელად პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიც იმყოფებოდა, თუმცა პრეზიდენტამდე არ შეუშვეს. უთხრეს, წერილით მოგვმართეთო. წერილიც გავაგზავნეთ, მაგრამ გვიპასუხეს, ეგ საკითხი ჩვენს კომპეტენციაში არ შედისო. ამდენი წელია უკვე კუთვნილ ფულს ვითხოვთ, მაგრამ სამართალს ვერ ვპოულობთ. პრეზიდენტს ვთხოვთ, რომ ეს ფული აგვაღებინოს. სოფელი განადგურების პირას არის, უმეტესობამ ვენახები გავჩეხეთ, — აღნიშნეს დაზარალებულმა გლეხებმა.**

ჯი-ეიჩ-ენი



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №183

# კლასიკური ნოსტალგია



**შემოდგომის უკანასკნელი დღეები, თოვლი, წინანდალი და დროის მუდმივობის ხელახალი განცდა... ღირებულებები, რომელსაც დრო არ თიშავს, არამედ ერთ მთლიანობად აქცევს...**

თუკი კლასიკა არის ის, რასაც ყველა ეპოქაში ისმენენ, კითხულობენ და უმზერენ, თუკი რომანტიზმი მხოლოდ ლიტერატურულ მიმართულებად არ განიხილება, იმ დღეს რომანტიკოსი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლეში ყველა დროის რომანტიკოსთა შეხვედრა მოხდა.

საუკუნისწინანდელი კლასიკური მემკვიდრეობა და ჩვენი დროის უკვე კლასიკურ საგანძურად ქცეული – სულხან ცინცაძის სახელობის სიმებიანი კვარტეტი: **კონსტანტინე ვარდელის, თამაზ ბათიაშვილის, ნოდარ ჟვანიასა და ოთარ ჩუბინაშვილის** შემადგენლობით... მათ მიერ გაჟღერებული მუსიკა იმავე დარბაზის კედლებზე ექსპონირებული მოდერნისტი მხატვრის ალექსანდრე ბანძელაძის ფერწერის ფონზე...

ეს იყო ტრადიციისა და მოდერნის იმგვარი შერწყმა, როცა გარკვევით იკითხება – საიდან მოდის ან სად შეიძლება მივიდეს ქართული ხელოვნების ნამდვილი გზა.

ასე იმავე დღეს, იმავე უნისონში, მოხდა მუსიკოსის, საპატრიარქოს ტელევიზიის მუსიკალური რედაქტორის **ია საკანდელიძის** და რეჟისორ **ლევან ადამიას** შესანიშნავი დოკუმენტური ფილმის **„საქართველოს სიმებიანი კვარტეტის“** ჩვენება დაუფარავი აღტაცებისა და აპლოდისმენტების თანხლებით...

* * *

***მერაბ კოკოჩაშვილი*** *(რეჟისორი) – ეს მუსიკოსები ძალიან მიყვარს... სულ ვიღიმებოდი, თავიდან ბოლომდე, ფილმის ჩვენების განმავლობაში. ისეთი ადამიანურია, ისეთი მშვენიერი... დიდი მადლობა ფილმის შემქმნელებს, რადგან აქ ნათლად ჩანს, თუ ეს მუსიკოსები როგორი კეთილები, ნიჭიერები და არაჩვეულებრივი სულის მატარებლები არიან....*

***მაკა მახარაძე*** *(ქორეოგრაფი) – ეს იყო არაჩვეულებრივი იდეის განხორციელება. როგორც მუსიკოსებმა თავად აღნიშნეს, ია საკანდელიძემ და ფილმის შემქმნელმა მთელმა შემადგენლობამ ძეგლი დაუდგეს კვარტეტს... თუმცა, მათ არასოდეს აკლდათ არც სიყვარული, არც საზოგადოების ყურადღება, არც თაყვანისმცემელთა ქედმოხრა. მეც ქედს ვიხრი მათ წინაშე, იმიტომ, რომ მართლაც, დიდი მუსიკოსები არიან...*

* * *

მცირე პრეისტორია: როგორ შეიქმნა ეს ფილმი. ფილმის ავტორი ქალბატონი ია საკანდელიძე, რომელიც ჩვენთვის ცნობილია თავისი განსაკუთრებული გემოვნებით და ფასეულობათა ზუსტი აღქმის უნარით, გვეუბნება, რომ ეს მისი პირველი ფილმია, რომელიც ორი ტელევიზიის „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ ბაზაზე შეიქმნა.

***ია საკანდელიძე*** *– ...და როგორც ყველაფერ პირველისადმი ადამიანს რაღაც განსაკუთრებული გრძნობა ეუფლება, ასევე ჩემთვის ეს ფილმი ძალიან საყვარელია...*

*ფილმის გმირები, სულხან ცინცაძის სახელობის სიმებიანი კვარტეტის წევრები არაჩვეულებრივი მუსიკოსები და საინტერესო ადამიანები არიან. მუშაობის პროცესი გვქონდა შთაგონებული, დაძაბული, არაერთმნიშვნელოვანი, რაც ჩვენი მუსიკოსების გამორჩეულმა ინდივიდუალობამ, პიროვნულობამ და რეჟისორ ლევან ადამიას და გადამღები ჯგუფის პროფესიონალიზმმა განაპირობა.*

*ფილმი ეთერში უკვე რამდენჯერმე გავიდა, მაგრამ ოცნებად მქონდა მისი ჩვენება აქ, წინანდალში, ჭავჭავაძეების სასახლეში. ეს გარემო ყველა ქართველისთვის განსაკუთრებულია. ნოსტალგიური სინამდვილე, რომელიც უკვე ლეგენდად იქცა – ჭავჭავაძეების სალონი, სადაც განსაკუთრებული ადგილი ეკავა პოეზიას, მუსიკას... რა რომანტიკულად წარმოგვიდგება ის ხანა, როდესაც ამ მშვენიერ დარბაზებში ერთმანეთს ხვდებოდნენ საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები, როცა აქ მჟღავნდებოდა ხელოვნების მოღვაწეებისადმი გულწრფელი თანადგომა და აღიარება... ჩვენი სასიქადულო პოეტების, მხატვრების და მუსიკოსების ნაწარმოებებს ხშირად აქ ეცნობოდნენ პირველად... და ახლა, როცა ეს სივრცე ისევ აღორძინდა, სასახლის ფანჯრებიდან მოკიაფე სინათლე ისევ გვიხმობს შეხვედრებისთვის, ურთიერთობებისთვის... ამ სასახლის ბაღში თუ დერეფნებში თითქოს ისევ ისმის წინაპრების ნაბიჯების ხმა, მათი ინტონაციები...*

*მიხარია, რომ სალონური შეხვედრების ტრადიციების აღდგენა, შემოქმედებზე და შემოქმედებაზე კეთილგანწყობილი, ნიუანსური საუბრები ისევ დაიწყო ამ ზღაპრულ სამყაროში... ამიტომ მეც გამიჩნდა სურვილი, აქ მოგვეწყო კამერული მუსიკის პატარა კონცერტი და თან საზოგადოებისთვის ჩვენი ფილმიც გვეჩვენებინა. კვარტეტის წევრებმა ვფიქრობ ზუსტად შეარჩიეს საკონცერტო პროგრამა:* ***ფრანც შუბერტის, ანტონ დვორჟაკის, ჯერონ კერნის*** *ნაწარმოებები...*

***ვაჟა აზარაშვილის*** *მინიატიურით* ***„სენტიმენტალური ტანგო“*** *დააგვირგვინეს კონცერტი, რომელიც მართლაც ორგანულად ჩაეწერა ამ არაჩვეულებრივ, ამაღლებულ გარემოში.*




* * *

***ნანა ჯანელიძე*** *(რეჟისორი) – კონცერტის შემდეგ აქ მართლაც საოცარი ფილმი ვნახეთ. ამ მუსიკოსებს ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ და ბევრი რამ ვიცით მათზე, მაგრამ ვფიქრობ, ფილმმა არა მარტო სიმებიან კვარტეტს, არამედ საერთოდ, საშემსრულებლო ხელოვნებას დაუდგა ძეგლი...*

*ფილმი არის ძალიან დახვეწილი, სიკეთით გამსჭვალული, დახვეწილი მონტაჟით, სიმბოლოებით... მუსიკაა გადაღებული, რაც ძალიან ძნელია და იშვიათი. ია საკანდელიძემ და ლევან ადამიამ ეს მოახერხეს. დიდი მადლობა მათ, რადგან ეს ფილმი მხოლოდ აღტაცებას იწვევს.*

***ნათია ასათიანი*** *(ხელოვნებათმცოდნე) – ეს იყო სიყვარულით გამთბარი და იუმორით გაჟღენთილი ფილმი, რომელიც გვიამბობდა ამ შესანიშნავი კვარტეტის ისტორიას ჩამოყალიბებიდან დღემდე. ვისმენდით ნაწყვეტებს საქართველოში თუ მის გარეთ ჩატარებული ყველაზე მნიშვნელოვანი კონცერტებიდან. ამ უნიჭიერესი მუსიკოსების ცხოვრებისეული ისტორიები თუ შემოქმედებითი გზა საოცარი სილაღით და ამავე დროს ხაზგასმული პატივისცემით არის დაფიქსირებული და გადმოცემული. ფილმის მიხედვით ვხვდები, როგორი შრომა გასწია შემოქმედებითმა კოლექტივმა – არქივებში მასალების მოძიებიდან თუ გადაღებებიდან – მონტაჟამდე.*

*ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლეში, ჭავჭავაძეთა სალონში საღამოს გამართვის თავად იდეა გახლდათ განსაკუთრებულად ღირებული, თითქოს გარდასული საუკუნის რომანტიკოსთა გარემოში იმყოფებოდი. ამ სივრცეში და შორეული წარსულის გამოხმობით აღძრულ განწყობილებებში ორგანულად ჩაჯდა სულხან ცინცაძის სახელობის სიმებიანი კვარტეტი კონტანტინე ვარდელი, თამაზ ბათიაშვილი, ნოდარ ჟვანია, ოთარ ჩუბინაშვილი... და ამასთან ერთად ალექსანდრე ბანძელაძის შესანიშნავი, ბევრისთვის ცნობილი ფერწერული ტილოები და ამავე მხატვრის საზოგადოებისთვის უცნობი, ძალიან საინტერესო ნამუშევრები მიძღვნილი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისადმი“.*

*ჩვენ ვეზიარეთ ნამდვილ მუსიკას, ნამდვილ ხელოვნებას, ჩვენს ისტორიულ ტრადიციას და იმ წარსულსა და აწმყოს, რომელიც სამომავლოდ იმედისმომცემია...*

*დიდი მადლობა ქალბატონ ია საკანდელიძეს, რომელმაც ამ ნაადრევი ზამთრის სუსხიან დღეს, სიკეთით გამთბარი არაჩვეულებრივი საღამო გვაჩუქა, მართლაც დაუვიწყარი საღამო...*



№ 228. შაბათი, 3 დეკემბერი, 2011 წელი.

# მამუკა სალუქვაძე — ჩვენი თაობის სევდიანი აკორდი



**თქვენს წინაშეა მწერლის ორტომეული (გოგი წერეთლის მშვენიერი დიზაინით), მაგრამ სამწუხაროდ, მეორე ტომის მხოლოდ სუპერია და პირველი ტომის გამოსვლიდან მრავალი წლის შემდეგაც დასაბეჭდად მომზადებული უნიკალური მასალა ვეღარ დაისტამბა.**

გამოცემული კრებულის დიდი ნაწილი სასულიერო თემას ეძღვნება. ეს გახლავთ ათი მცნების, „ეკლეზიასტეს“, „შესაქმის“ თუ სახარებისეული ეპიზოდების არა მარტო თანამედროვე ენობრივი ქსოვილით, არამედ ინდივიდუალური პოეტური ხედვით ინტერპრეტაცია...

წიგნს წინასიტყვაობად ცხუმ-აფხაზეთის მეტროპოლიტის დანიელის (დათუაშვილი) ხელნაწერი ახლავს. რატომღაც, ალბათ სიმბოლურად, დაუთარიღებელი.

ყველაფერს თავისი აქვს დრო და ჟამი ამ ცისქვეშეთში — გვასწავლის ეკლეზიასტე (ამ საოცარი ტექსტის სალექსო ფორმაში გადატანა სცადა მამუკა სალუქვაძემ). ნუთუ, ეს წიგნიც მხოლოდ სამერმისოდაა აღსაქმელი და შესაფასებელი?.. ასეც რომ იყოს, იგი დღეს მაინც უნდა გამოიცეს და მოთმინებით დაელოდოს თავის ნამდვილ მკითხველს...

X X X

***„მამუკა სალუქვაძის შემოქმედება არის დაუოკებელი სწრაფვა სრულყოფილებისაკენ. ამგვარი თავდადებული მოშურნეობისათვის უფალი მის გულსა და გონებას აღავსებდა თავისი მადლით ჭეშმარიტებითა და მშვენიერებით.***

***მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში უღმერთობისაგან დამძიმებული საზოგადოებისთვის მისი ამაღლებული სიტყვა იყო, ვითარცა ანკარა ნაკადული, სალბუნი სულისა, სიმშვიდისა და ნუგეშის მომნიჭებელი.***

***მამუკას მტკიცედ სწამდა იმისა, რომ ერის გადარჩენა მის სულიერ ამაღლებაშია.***

***იგი სერიოზულად ემზადებოდა საღმრთო საიდუმლოთა შეცნობისათვის. ბუნებრივია, მისი რელიგიური შინაარსის ნაწარმოებები საწყის ეტაპზე ვერ იქნებოდა ზუსტი განმარტება საღმრთო წერილისა. ავტორს არც ჰქონია ამის პრეტენზია. მისი მთავარი მიზანი იყო თანამედროვე ადამიანში ღვთისადმი რწმენისა და სიყვარულის გაღვიძება და ეს მისია მან არაჩვეულებრივად აღასრულა.***

***გვწამს, მამუკას უკვდავი სული კვლავაც იღწვის საქართველოსთვის.***

*ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი*
**დანიელ (დათუაშვილი)**

* * *

**„მე ვარ მამუკა სალუქვაძე, დავიბადე საქართველოში, ქალაქ თბილისში, 1955 წლის 17 ივლისს. ვიზრდებოდი ხელოვანთა ოჯახში. დედა — ინოლა გურგულია (გარდაიცვალა 1977 წელს) — იყო საქართველოში კარგად ცნობილი კომპოზიტორი და მომღერალი, მამა ანზორ სალუქვაძე — არის მწერალი, პოეტი, კინოდრამატურგი“...**

**— „ვინ ხარ? რას წარმოადგენ? რა გინდა, რისთვის მოსულხარ ამ ქვეყნად? რა აზრი აქვს შენს ცხოვრებას? ან, აქვს კი აზრი საერთოდ?**

**— აბა, როგორ გითხრათ... ვფიქრობ, ერთი უბრალო ადამიანი ვარ, დიდად არაფრით განსხვავებული სხვებისგან, ვცხოვრობ ჩვეულებრივად ჩემს ქალაქში, ჩემს თბილისში, სადაც დავიბადე და გავიზარდე. მყავს ოჯახი, შვილები, ახლობლები, მეგობრები, მაქვს ჩემი საყვარელი საქმე — მწერლობა და მგონია, რომ მაქვს ამ საქმის ნიჭიც, ღმერთისგან ბოძებული, რისთვისაც უზომოდ მადლობელი ვარ. ვწერ ლექსებს, პიესებს. პირადად მე, სწორედ ამაში ვხედავ ჩემი ცხოვრების აზრს, მაგრამ ეს აზრი დღესდღეობით საკმაოდ გაბუნდოვანებულია, რადგან ვერ ვმუშაობ, ვერაფერს ვერ ვაკეთებ...**

**— რატომ? რა გიშლის ხელს? რა არის მიზეზი?**

**— ვფიქრობ, მიზეზი მაინც ერთია, სულიერი სიმშვიდე დავკარგე...“**

...და საბოლოოდ მხოლოდ იმქვეყნიურ გადასასვლელთან პირისპირ მდგომს ეწვია ყოვლისმომცველი სიმშვიდე... დრო აჩქარდა, ყველაფერი უნდა მოესწრო... თუ როგორია და რით მიიღწევა ის ერთადერთი გზა სიმშვიდისაკენ, მის დაუსტამბავ წიგნშია მთელი სისრულით მოცემული.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მამუკა სალუქვაძემ ბრევარდის კოლეჯის პრეზიდენტის ბატონ ტომ ბერთნარის წერილი მიიღო.

*ჩემო ძვირფასო!*

*სურვილი მაქვს არა გონებით, არამედ გულით გელაპარაკო. გახსოვს — ამ ხუთიოდე წლის წინათ დათო მაღრაძესთან შევხვდით. შენ, მაშინ გიტარაზე იმღერე და მე შევნიშნე, რომ სუნთქვა გიჭირდა. მას მერე ყოველ შეხვედრისას ვგრძნობდი შენი მდგომარეობის გაუარესებას. მეც ასე მემართება — ყმაწვილობიდან ქრონიკული ბრონქიტი მჭირს — ადვილად ვცივდები და ყოველ ზამთარს ჩემთვის აუტანელი ხვედრება „მოაქვს“. რაც დრო გადის, ჩემს გამოჯანმრთელებას უფრო მეტი და მეტი ხანი სჭირდება. ვიცი, ადრე თუ გვიან სული შემეხუთება. როგორც ჩანს, ამ „საქმეში“ ჩვენ ერთმანეთს არ ჩამოვუვარდებით. ეტყობა, ორივეს ერთი ბედი გვაქვს! ეჰ, რას იზამ, ესეც ადამიანის ხვედრია. თუმცა, სხვათაგან განსხვავებით, შენაც და მეც, ერთი ნიშანი გვიზის, ვალდებულნი ვართ, ვიდრემდე სული გვიდგას, ღვთით ბოძებული ჩვენი ნიჭი ყველას თანაბრად გავუნაწილოთ — უკანასკნელი ამოსუნთქვის ჟამსაც შევეცადოთ, შევქმნათ რაიმე ახალი! ამის სურვილი, მე, შენს გასხივოსნებულ, სიკეთით სავსე თვალებში დავინახე, შენს ხმაშიც გავიგონე და შენს ნერვიულ მოძრაობაშიც ამოვიცანი. მოუთმენლობა შევნიშნე, მივხვდი, გეჩქარებოდა, რაც შეიძლება მალე დაბრუნებოდი შენს სამუშაო მაგიდას და გეღვაწა მანამ, სანამ დრო მოგითმენდა!*

*მართალია, მე მთარგმნელის გარეშე ძალიან მიჭირს შენი ლექსების ბოლომდე შეგრძნება, რადგან თქვენი, ქართული ენა, ჯერ კიდევ კარგად არ ვიცი. თუმცა, იმთავითვე მჯეროდა და ახლაც მწამს, რომ შენ დიდი პოეტი და დიდი სულის მატარებელი ხარ. ყველა ჭეშმარიტება პოეტმა რეალურად უნდა დაინახოს მსოფლიოს ის პატარა ნაწილი, რომელიც მის თვალწინაა და თავისი ახალი სიტყვით გააუკვდავყოს იგი. მხოლოდ დიდ პოეტს ძალუძს მსოფლიოს მთლიანობაში შეგრძნება და მისი ასახვა თავის მშობლიურ ენაზე. დიახ, მხოლოდ დიდ პოეტს შეუძლია შექმნას წიგნები პატარების გასახარებლად (შენი ჟაკოს ლექსები); ასევე, მხოლოდ დიდ პოეტს შეუძლია მიუძღვნას თავისი ლირიკული გრძნობები უსაყვარლეს მხატვრებს, რომლებსაც დასავლეთი ასე კარგად იცნობს და, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ დიდ პოეტს შეუძლია ეყოს გამბედაობა, ქართული მითოლოგიის უმთავრესი თემების გარითმვისა (შენი წიგნი წმინდა ნინოს შესახებ, დაწერილი რუსთაველისეული ლექსწყობით) და ამასთან, მხოლოდ დიდ პოეტს შეუძლია ქრისტიანული ტრადიციების თავისებურად გადმოცემა (შენი ახალი წიგნი ბიბლიაზე).*

> *ინოლა გურგულიას ანდერძიდან:*
>
> *იყავ ბედნიერი მასთან, ვინც გიყვარს. იყავ ჩემსავით ხალისიანი, გიყვარდეს მამული შენი და იცოდე, რომ შენი ნიჭით და კალმით დიდი ვალი გაქვს ღვთის წინაშე. ნუ გეშინია, დედი! მე შენში ვარ და ამით შენთან ვარ მუდამ...“*

*ძვირფასო მამუკა, გპირდები, სანამ ვცოცხლობ, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, რომ შენი საუკეთესო ლექსები გავაცოცხლო ინგლისურად ისე, რომ ისინი ამერიკელებისთვის ცნობილი გახდნენ. შენ მიხვდები, რომ ამის კარგად გაკეთებას წლები დასჭირდება, ამაში უნდა დამეხმარო: 1) თუ შეგიძლია, გამომიგზავნე შენი წიგნები. მე ახლა მხოლოდ „ჰერბარიუმი“ მაქვს; 2) ჩამომიწერე, რომელ ლექსებს თვლი შენ საუკეთესოდ, რათა მათზე გავამახვილო ყურადღება; 3) უნდა გამომიგზავნო წერილი, რომ შენ მაძლევ უფლებას, ვთარგმნო და გამოვცე შენი ლექსები ინგლისურად; 4) მჭირდება შენი საუკეთესო ფოტო, თუ გაქვს! თუ შეიძლება, შემისრულე ეს და მე ჩემს დაპირებას შევასრულებ.*

*მაქვს იმედი, რომ მომავალ წელს გნახავ. გწამდეს, ძალიან მიყვარხარ. ვლოცულობ — იმდენ ხანს ისუნთქო, სანამ სათქმელი გექნება — ახალი და მართალი სიტყვა. ღმერთს ვევედრები, ხელისგულზე გატაროს.*

*შენი ტომი*
*25 დეკემბერი, 1996 წელი.*

* * *

იმავე დროს ბერთნარი თავის მეგობარს ცნობილ ექიმს უგზავნის ბარათს:

*„ძვირფასო კენ! შენ იცი, რომ უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში თანამედროვე ქართველ პოეტებთან ვმუშაობდი. მე ვთვლი, რომ მამუკა სალუქვაძე თავისი დროის ყველაზე მნიშვნელოვანი პოეტია — ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე მოაზროვნე, ყველაზე ნათელი, ყველაზე თავისუფალი პირფერული გადმონაშთებისაგან და მუზა ყველაზე მეტად მასშია შეყვარებული. თუ ავადმყოფობამ არ შეცვალა, ნახავ, როგორი დიდებული კაცია, რომელიც სავსეა არაჩვეულებრივი მომხიბვლელობით, მახვილგონიერებით და ინტერესით სხვათა მიმართ. ის, რომ მნიშვნელოვანია, როგორც პოეტი, საზოგადოებას არა აქვს გაცნობიერებული... მისთვის არაფერს ნიშნავს! მას დაწერილი აქვს მშვენიერი ლექსები დასავლური ტრადიციის მქონე უდიდესი მხატვრების ტილოების საპასუხოდ, ისეთივე მშვენიერი, როგორც ოდენის პოემაა ბრეგელის „იკარუსის გაფრენაზე“. მას დაწერილი აქვს ქართველი მითოლოგიური პიროვნების შესახებ — როგორიცაა მედეა; ბავშვებისათვის შექმნა არაჩვეულებრივი სერიალი უცნაური თუთიყუშის ჟაკოს შესახებ, რომელიც ფერნანდო პოს კუნძულიდან მოფრინავს და მთელ მსოფლიოს შემოუფრენს თავისი თავგადასავლებით. მან შექმნა ეპიკური წიგნი წმინდა ნინოს მიერ საქართველოში ქრისტიანობის შემოტანის შესახებ, სადაც ძალიან ძნელი, მაღალი შაირი და დაბალი შაირი გამოიყენა, რომლითაც დაწერილია „ვეფხისტყაოსანი“. ამ პოემით მამუკამ როგორც კაცმა, რუსთაველსა და ქრისტიანულ რწმენას აღტაცების ხარკი გადაუხადა. ბოლო წლებში მამუკა თავგამოდებით მუშაობს სასულიერო თემატიკაზე „ათი მცნება“, წმინდა მარკოზის სახარებაზე და მშვენიერ ლექსებს ჰქმნის თავისი ტალანტითა თუ დიდი შრომით. მისი ავადმყოფობის დამძიმების პერიოდში, იგი ახლახანს გარდაცვლილ დიდ მხატვარ ირაკლი ფარჯიანს მაგონებს — მისი თავდადებით. მას სურს, გამოიკვლიოს ქართული კულტურის უმშვენიერესი, უბადო წყაროები და შექმნას ახალი პოემები, რომლებიც თანამედროვე აზროვნების გამოხმაურებაა. იგი ქართველი იეიტსი, ტომას ელიოტი, რობერტ ფროსტი და რობერტ პენ უორენია ერთად აღებული. ის ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდა კაცია, რომელიც ქრონიკულად სიგარეტის წევამ და ალბათ, სხვა სამედიცინო პრობლემებმა ასე ადრე დააავადეს.*

*ეჭვი არ არის, რომ ყოველთვის, როცა თბილისში ხარ, მოგმართავენ სამედიცინო პრობლემებით გავლენიანი და მდიდარი ადამიანები დახმარებისათვის. არც ერთი არ აქვს პოეტებს და ჩვეულებრივ უკაპიკონი არიან. მე ვიცი, შენ გესმის ჩემი განსაკუთრებული თხოვნის მნიშვნელობა. ეს კაცი იმსახურებს როგორც შენს, ისე ემორის უნივერსიტეტის ყურადღებას.*

*ძვირფასო კენ! იცი, რომ ახლა უმთავრესია სიცოცხლის დარჩენილი დროის მუშაობისათვის სრული გამოყენება.*

*მადლობთ, კენ, ბედნიერ შობას გისურვებ.*

*შენი ტომი,*
*24 დეკემბერი, 1996 წელი.*

* * *

მოკლედ, ტომ ბერთნარი ექიმს ქართველი მწერლის მაქსიმალურ დახმარებას სთხოვს... მაგრამ ინგლისში სამკურნალოდ მიწვეული მამუკა სალუქვაძე გამგზავრებაზე უარს იტყვის... „უკვე გვიანააო“ — ეუბნება მეუღლეს და თავის ხელნაწერებს უბრუნდება... „დრო ცოტა დამრჩა, უნდა მოვასწრო...“

„და როცა მივხვდი, თუ რა ტვირთი უნდა მეთრია, მაშინ დავრწმუნდი, რომ მწერლობა მძიმე ხვედრია...“

* * *

მამუკას დედის ინოლა გურგულიას ანდერძიდან: **„მამუკა, დედი! შენ შემოგევლოს შენი დედიკო, შენ იცი, როგორ ლამაზად გამიგრძელებ და გამიხანგრძლივებ სიცოცხლეს. დედის დამარხვა ვაჟკაცის ვალია, შენ პირველი არ ხარ, გახსოვდეს. რა აზრი აქვს სხეულს და მძორს, როცა ჩემი სული შენში ცოცხლობს, ჩემი ათასი ფიქრი და გრძნობა შენში გრძელდება, სიცოცხლევ ჩემო.**

**იყავ ბედნიერი მასთან, ვინც გიყვარს. იყავ ჩემსავით ხალისიანი, გიყვარდეს მამული შენი და იცოდე, რომ შენი ნიჭით და კალმით დიდი ვალი გაქვს ღვთის წინაშე. ნუ გეშინია, დედი! მე შენში ვარ და ამით შენთან ვარ მუდამ...“**

მამუკა სალუქვაძის ცხოვრებაც, შემოქმედებაც თითქოს დედის ანდერძის აღსრულების მცდელობაა, ეს მისი გამოუცემელი წიგნის სტრიქონებშიც იკითხება... „ყველაფერს თავისი დრო აქვს ამ ცისქვეშეთში“... დრო კი ყველაფერს თავის სახელს არქმევს, მაგრამ მამუკას სიტყვებით რომ ვთქვათ: **„რა რთულია ყველაფერი ქართული“...**









**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# პოლიტიკური კრიზისი სამხრეთ ოსეთში რუსეთის პოლიტიკისთვის სახიფათოა

**პოლიტიკურმა კრიზისმა სამხრეთ ოსეთში, რომელიც წარმოიძმნა პრეზიდენტის არჩევნების გაუქმების შედეგად და რომელზეც დამარცხება განიცადა პროკრემლისეულმა კანდიდატმა, რუსეთი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმაში არჩევნების წინაპერიოდში რთულ მდგომარეობაში ჩააყენა. დაძაბულობა და ძალადობრივი მოქმედებების ალბათობა მოწმობენ იმის შესახებ, თუ რამდენად მყიფიერია სტაბილურობა იმ კავკასიურ რესპუბლიკებში, რომლებიც სსრ კავშირის დაშლის შემდეგ გამოეყვნენ საქართველოს.**

ოთხშაბათს რუსეთმა შექმნილი სიტუაციის გამოსასწორებლად თავისი წარმომადგენელი გაგზავნა იქ, ეს არის სერგეი ვინოკუროვი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის რეგიონთაშორისი და უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული კავშირების სამმართველოს უფროსი. თუ კონფლიქტი გაგრძელდება, რუსეთი შეიძლება გადაეყაროს იმის ალბათობას, რომ საქართველო შეძლებს მოახდინოს სამხრეთი ოსეთის სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის დაპირისპირების პროვოცირება და მიაღწიოს იმას, რაც ვერ შეძლო სამხედრო ძალის გამოყენებით 2008 წლის აგვისტოში, იტყობინებიან კარგად ინფორმირებული ოსური წყაროები.

განათლების ყოფილმა მინისტრმა ალა ჯიოევამ, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება საგანგებო სიტუაციათა მინისტრზე ანატოლი ბიბილოვზე, უარი განაცხადა აღიაროს სამხრეთი ოსეთის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც სამშაბათს გააუქმა გამართული არჩევნების შედეგები და აუკრძალა მას მიიღოს მონაწილეობა მარტისთვის დანიშნულ არჩევნებში.



სამხრეთი ოსეთის დედაქალაქ ცხინვალში გამართულ მიტინგზე ჯიოევამ მოუწოდა მოსახლეობას სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციებისკენ, ჩამოაყალიბა საკუთარი სახელმწიფო საბჭო და რესპუბლიკის პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს მისცა ერთი დღე-ღამის ვადა, რათა მან აღიაროს არჩევნების შედეგები, რომლის თანახმადაც მან ხმების 16 პროცენტით მეტი მოაგროვა, ვიდრე მისმა მეტოქემ. შედეგად, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის რჩევით ჯიოევამ შეიტანა სარჩელი კენჭისყრის შედეგების შესახებ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რამაც მნიშვნელოვნად შეიძლება შეუწყოს ხელი იმას, რომ კონფლიქტი გადატანილი იქნეს სამართლებრივ კალაპოტში.

ჯიოევა და ასევე სხვა ადგილობრივი პოლიტიკოსები შეხვდნენ კოკოითს, და სიტუაცია კრემლის წარმომადგენლის ჩამოსვლის მოლოდინში ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო გავრცელებულ კომუნიკეში მოუწოდებს შეინარჩუნონ სიმტკიცე და სიმშვიდე და ეძებონ გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოსკოვმა, რომელმაც აღიარა სამხრეთი ოსეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობა, მის ტერიტორიაზე განათავსა სამხედრო ბაზები, მაგრამ სამხედრო ყოფნა და ეკონომიკური დახმარება არ იძლევა ეკონომიკური სტაბილურობისა და რეგიონის ეფექტიანი მმართველობის გარანტიას. რეგიონი ხომ სრულ დამოკიდებულებაშია მოსკოვთან, რომელიც მილიარდობით რუბლს ხარჯავს მის ეკონომიკაში.

ჯიოევასაც და ბიბილოვსაც პრორუსული პოზიცია უკავიათ, მაგრამ სწორედ ბიბილოვი სარგებლობს მედვედევ-პუტინის მმართველი ტანდემის მხარდაჭერით, რითაც მათ სურთ შეცვალონ კოკოითი, რათა კონტროლქვეშ იქონიონ საფინანსო ნაკადები. იმ დროს, როდესაც ბიბილოვი გამოდიოდა ოფიციალურად აღიარებულ კანდიდატად, ჯიოევა გამოდიოდა, როგორც ამომრჩეველთა საპროტესტო ნაწილის წარმომადგენელი. განათლების ყოფილი მინისტრი მჭიდროდ არის დაკავშირებული თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირისა და ევროპის ყოფილ ჩემპიონთან, ამჟამად კი რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელთან სპორტის ამ სახეობაში ჯამბულათ თედეევთან, მიუთითებენ სამხრეთ ოსეთის წყაროები. მათი აზრით, სწორედ ეს სახელგანთქმული სპორტსმენი და კავკასიური კლანის გავლენიანი ხელმძღვანელი არის მთავარი მოქმედი პირი მის საარჩევნო კამპანიაში და მისი დაფინანსების მთავარი წყაროც.

თედეევს თავადაც სურდა მიეღო მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნებში, მაგრამ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ უარყო მისი კანდიდატურა, მიუთითა, რომ ის არ ცხოვრობდა ამ რესპუბლიკაში დროის აუცილებელი პერიოდის განმავლობაში. 2001 წელს თედეევს უკვე შეეძლო დაეკავებინა ედუარდ კოკოითის პრეზიდენტის სავარძელი, პიროვნებისა, რომელმაც შემდეგ დაივიწყა მის შესახებ და აიძულა კიდეც იგი დაეტოვებინა რესპუბლიკა. თუ ჯიოევა პრეზიდენტი გახდება, თედეევი დამკვიდრდება სამხრეთ ოსეთში და მოინდომებს კოკოითის შურისძიებას, აიყვანს თავის კონტროლზე საფინანსო ნაკადებს რუსეთიდან და გამოვა შუამავლად თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობებში. საქართველოს დედაქალაქში ამჟამად ცხოვრობს ბევრი სამხრეთოსეთელი პოლიტიკოსი, რომლებიც თავის დროზე გამოდიოდნენ რესპუბლიკის დამოუკიდებლობისთვის, მაგრამ შემდეგ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მათ შორის, საფინანსო მიზეზისაც, გადავიდნენ თბილისის მხარეს, – მიაჩნიათ ოსეთის წყაროებს.

მოსკოვისთვის ეს ნიშნავს არასასურველ პერსპექტივას იმისთვის, რომ ქართული ლობი სამხრეთ ოსეთში, რომელიც გახდა ნეიტრალური 2008 წლის ომის შემდეგ, კვლავ შეასრულებს გარკვეულ პოლიტიკურ როლს ამ რესპუბლიკის ცხოვრებაში, ვინაიდან კავკასიის საქმიან და სპორტულ წრეებს შორის არსებობს გაცილებით უფრო მყარი და მიმზიდველი კავშირები, ვიდრე სამხრეთი ოსეთის განვითარებისა და განმტკიცების ამჟამინდელი პროექტია. რუსეთისთვის მოვლენათა განვითარების ეს ვარიანტი, საკუთარი პარლამენტის არჩევნების წინა პერიოდში, ცუდია. რახან კრემლმა ვერ შეძლო უზრუნველეყო ბიბილოვის არჩევა, ეს მიუთითებს რუსეთის ხელისუფლების სისუსტეზე მტკიცედ განწყობილი ამომრჩევლების წინაშე. კრემლს რომ შეძლებოდა ბიბილოვის არჩევა, ეს გაამწვავებდა მოსკოვის ურთიერთობას სამხრეთ ოსეთის რიგით მცხოვრებლებთან, რომლებსაც სურთ მეტი ეფექტიანობა და ნაკლები კორუფცია. თუ, რასაკვირველია, მოსკოვის მაღალი რანგის წარმომადგენელი ვერ შეძლებს სიტუაციის განბლოკვას საყოველთაო კმაყოფილებით.

EL PAIS

# პლუტოკრატი, რომელიც მოულოდნელად გამოჩნდა სააკაშვილის დასამარცხებლად

**სწორედ მაშინ, როდესაც საქართველო, რომელმაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში სამოქალაქო ომი, რევოლუცია და რუსეთთან სამხედრო კონფლიქტიც კი გამოიარა, ნორმალურ ადგილს ემსგავსებოდა და მისი პოლიტიკა მოსაწყენიც კი ხდებოდა, ქვეყნის ყველაზე მდიდარი და იდუმალებით მოცული ადამიანი ხმაურით გამოვიდა პოლიტიკურ ავანსცენაზე.**

ბიძინა ივანიშვილი, რომლის 5.5 მილიარდდოლარიანი ქონება საქართველოს ერთ წლის ბიუჯეტსაც შეავსებდა და კიდევ ხურდაც დარჩებოდა, აცხადებს, რომ დადგა დრო მიხეილ სააკაშვილის „ავტორიტარულ" მმართველობას ბოლო მოეღოს. მოქმედი პრეზიდენტის მეორე და საბოლოო ვადა 2013 წელს იწურება.

ქართულ სოფელში დაბადებულმა ივანიშვილმა ქონება რუსეთში შეიძინა, კაპიტალი საბანკო, სასტუმრო და სამთო ბიზნესით დააგროვა. 2003 წელს ის საქართველოში დაბრუნდა.

სამშობლოში ის ფარულ ქველმოქმედებას ეწეოდა. მსახიობებს ხელფასებს უხდიდა, ეკლესიებს და მუზეუმებს რესტავრაციას უკეთებდა. მან ქვეყნის ყველაზე დიდი საკათედრო ტაძარი ააშენა. მთის მწვერვალზე წამოჭიმულ მის ციხესიმაგრეს, რომელსაც არც ვერტმფრენის ასაფრენი მოედანი აკლია და პატარა ჩანჩქერიც კი აქვს, პირადი დაცვის მცირე არმია იცავს ისე, თითქოს ის ჯეიმს ბონდზე გადაღებული ფილმის პერსონაჟია.

ივანიშვილს საქართველოში ისეთი დემოკრატიის დამკვიდრება უნდა, რომელიც „მსოფლიოს გააოცებს", მაგრამ მისი მოტივები ბუნდოვანია: მიილტვის ის ძალაუფლებისკენ? იქნებ კრემლის შიში (ან იქნებ მხარდაჭერაძ ამოძრავებს? თუ მას მართლაც კარგი უნდა სამშობლოსათვის? „შვილი დამემუქრა, შენ თუ არ მოხვალ პოლიტიკაში, მე მოვალო". მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა ოპოზიცია „შეისწავლა", მის „უუნარობაში" დარწმუნდა. თუმცა ოპოზიციის ყოფილი ლიდერებისგან დახმარებასაც ელოდა, მათ შორის ირაკლი ალასანიასგან, საქართველოს ყოფილი ელჩისგან გაეროში.

ივანიშვილი საქართველოზე ისე ლაპარაკობს, თითქოს ეს სარისკო კაპიტალდაბანდება იყოს, რომელსაც ერთი-ორი წლით სათავეში ჩაუდგება, დამოუკიდებელ სასამართლოს, თავისუფალ პრესას დაამკვიდრებს და კარგ მენეჯერებს დაასაქმებს. „ამ საქმეს ისე უყურებს, როგორც კონკურენტი კომპანიის დაუფლებას", ამბობს, ბიზნესმენი და რეფორმატორი კახა ბენდუქიძე. ივანიშვილის მთავარი მიზანი მსოფლიოში სააკაშვილის რეპუტაციის შელახვაა. „რეალურად ის არავის მოსწონს არც ევროპაში და არც ამერიკაში. აი ნახავთ, დასავლეთიდან მხარდაჭერა ორ-სამ თვეში აღარ ექნება".

ივანიშვილი გმობს 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებულ აგრესიას სეპარატისტული (და როგორც ამ ბოლო დროს არჩევნებმა გვაჩვენა კვლავაც პრობლემურიძ რეგიონების, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის გამო, მაგრამ ომის დაწყებაში სააკაშვილს ადანაშაულებს. რუსეთის პრემიერ-მინისტრზე, ვლადიმერ პუტინზე ლაპარაკისას ივანიშვილი ფრთხილობს. იგი აცხადებს, რომ საქართველო რუსეთზე ბევრად უფრო ნაკლებად დემოკრატიული ქვეყანაა და მეზობლის დამოძღვრის უფლება არ აქვს. დასავლეთთან დაკავშირებით კი ამბობს – „არავის არ უნდა რუსეთი საქართველოს გამო გადაიკიდოს".

სააკაშვილი უფრო რეფორმატორია, ვიდრე დემოკრატი. საქართველოს სასამართლოს თავისუფლება აკლია, პოლიცია პოლიტიზებულია, პარლამენტი მთავრობის ნების შემსრულებელია, ბუნდოვანია ვის ეკუთვნის მედიასაშუალებები და მთავრობაც არატოლერანტულია კრიტიკის მიმართ. მაგრამ სააკაშვილმა არშემდგარი სახელმწიფო აქცია თანამედროვე ქვეყნად, რომელსაც ლიბერალური ეკონომიკა და ძლიერი საკრედიტო რეიტინგი აქვს. თავის მოწინააღმდეგეს მშვიდად უყურებს და ამბობს, „ივანიშვილი ჩვენთვის კარგიცაა, ფორმას არ დაგვაკარგვინებს". მეთვალყურეებიც ადასტურებენ, რომ საქართველოს პოლიტიკას მეტი კონკურენცია სჭირდება, მაგრამ ახალი აჯანყება ხელს არ აძლევს.

ივანიშვილი აცხადებს, რომ გაისად არჩევნებზე პარლამენტში უმრავლესობით „ნამდვილად" მოვა. მას პრემიერ-მინისტრობაზე უჭირავს თვალი, თუმცა მისი პოპულარობა რეიტინგის მიხედვით მხოლოდ 17%-ს აღწევს, სააკაშვილის პარტიას კი 42% აქვს. თავად სააკაშვილის საქმიანობის რეიტინგი კი კიდევ უფრო მაღალია. მთავრობა დარწმუნებულია იმაში, რომ ივანიშვილი ხმების უმრავლესობას ვერ წაართმევს, მაგრამ შიშობს, რომ არჩევნების შედეგებზე ქუჩაში ატეხავს დავას.

ივანიშვილის მთავარი მიმზიდველობა სიმდიდრეშია. არის იმის საფრთხე, რომ საქართველო მასში ახალ მხსნელს დაინახავს. ინტელიგენციის და გავლენის მქონე ქართული ეკლესიის მხრიდან მას მხარდაჭერა აქვს. ყველაზე დიდ რისკს მისი გამოწვევა კი არ წარმოადგენს, არამედ ის პასუხი, რომლის პროვოცირებაც შეიძლება მან მოახდინოს. საქართველოს მთავრობამ საბაბი გამონახა და ივანიშვილს (და მის მეუღლესძ მოქალაქეობა ჩამოართვა. მისი ბანკიდან კი მილიონობით დოლარის კონფისკაცია განხორციელდა. ყველაფერს ამას დევნის და პანიკის ელფერი აქვს. საკითხავი ისაა, რა მოხდება მას შემდეგ რაც სააკაშვილის ვადა ამოიწურება. ივანიშვილი ამბობს, რომ საქართველოს კონსტიტუციური ცვლილება, რომელიც საპრეზიდენტო მმართველობას საპარლამენტოთი ცვლის, იმის ნიშანია, რომ სააკაშვილს ხელისუფლებაში დარჩენა პრემიერ-მინისტრის პოსტის მეშვეობით უნდა.

The Economist

## დედამიწის ზურგზე



**რუსეთმა სირიას, რომელსაც დასავლეთიდან ემუქრებიან, მიაწოდა „უძლიერესი და უძლეველი" იარაღი**

ასადის რეჟიმმა, რომლის წინააღმდეგაც ამკაცრებენ სანქციებს, რუსეთის ფედერაციისგან მიიღო სანაპირო კომპლექსები „ბასტიონი" ზებგერითი ფრთიანი გემთსაწინააღმდეგო რაკეტებით „იახონტი". უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გვაფრთხილებენ: ამ დამაშინებელი დახასიათებების იარაღის ნეიტრალიზაცია, პრაქტიკულად, შეუძლებელია. მოსკოვში ირწმუნებიან, რომ ასრულებენ ძველ კონტრაქტებს: „რა, არ შეიძლება?"

**რუსმა მეზღვაურებმა ისაუბრეს, თუ როგორ გაათავისუფლა ისინი დაღუპვისგან პრინცმა უილიამმა: უგვირგვინოდ იგი ვერ იცნეს**



ორი მეზღვაური – რომან სავინი და ვიტალი კარტენკო – ორი დღის წინ დაბრუნდნენ რუსეთში. მათ ისაუბრეს, რომ გადამრჩენი შვეულმფრენი, რომლის ერთ-ერთი პილოტიც პრინცი აღმოჩნდა, მოვიდა მის დასახმარებლად არასაფრენი ამინდის მიუხედავად. გადარჩენის ოპერაცია 10 საათი გრძელდებოდა. იმის შესახებ, რომ გადამრჩენთა შორის იყო პრინცი, მეზღვაურებმა გაიგეს მხოლოდ ნაპირზე.

**„აბრამოვიჩის ამერიკელმა იურისტმა" რუსი ბიჭის შეცდენისთვის 15 წლის ციხე მიიღო**



კენეტ შნაიდერმა დაარწმუნა 12 წლის ბავშვის მშობლები, რომელიც მოსკოვში ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლობდა, რომ მას ეცხოვრა მასთან ერთ ბინაში. ამერიკის ხელისუფლების მონაცემებით, იურისტი რყვნიდა ბავშვს 2000 წლის აგვისტოდან 2001 წლის ნოემბრამდე როგორც რუსეთში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**მართლმსაჯულება ავღანურად: ძალადობის მსხვერპლი თორმეტი წლით ციხეს გადაარჩინეს, მაგრამ ახლა მასზე ათხოვებენ**

გოგონა, რომლის სახელიცაა გულნაზი, გაასამართლეს იმისთვის, რომ იგი გააუპატიურა თავისმა ნათესავმა და მისგან ბავშვი გააჩინა. მოძალადემ სულ შვიდი წელი მიიღო. ახლა გოგონას ჰპირდებიან, რომ გაათავისუფლებენ, თუ გათხოვდება დამნაშავეზე. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: ქალების მდგომარეობა ავღანეთში გაუარესდა, მიუხედავად თალიბების დამხობისა და მილიარდობით დოლარის საერთაშორისო დახმარებისა.



როგორც ცნობილია – საქართველოს ზოგიერთი ტელევიზია თავისი ამორალური გადაცემებით ეწინააღმდეგება საქართველოს მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტის (მართლმადიდებელთა, დანარჩენი ტრადიციული რელიგიების მიმდევართა თუ სხვათაძ მოქალაქეობრივ შეხედულებებსა და უფლებას, იცხოვრონ ზნეობრივად ნორმალურ ატმოსფეროსა და საზოგადოებრიობაში. ე. წ. სქესობრივ უმცირესობათა სისტემატური, გეგმაზომიერი პროპაგანდით კი განსაკუთრებით გამოირჩევა „რუსთავი-2“, რომელიც არამარტო ცალკეულ გადაცემებში, არამედ თავის მთავარ – საინფორმაციო პროგრამებშიც ხშირად ეწევა სოდომურ-ლესბოსური ორიენტაციის ფიზიკურ გამოვლინებათა დემონსტრირებას საქართველოს სრულწლოვანი თუ არასრულწლოვანი საზოგადოებრიობის წინაშე. ერთ-ერთი ბოლო ასეთი გადაცემა შედგა 5 ნოემბრის შაბათ საღამოს „კურიერში“, სადაც სქესშეცვლილი ვინმე „კესარიას“ „თავისივე“ სქესობრივი წარმომადგენლის გაშიშვლებულ სხეულზე ინტიმურ ადგილებში ხელის ცეცებას მოზარდები და ახალგაზრდებიც უყურებდნენ...

იმ ფაქტს, რომ ეს მედია-საშუალება ჩვენი ახალგაზრდობის ე. წ. ცისფერ დამუშავებას ფსიქოლოგიური მეთოდებით ასე ინტენსიურად აწარმოებს და იუდას ვერცხლის სანაცვლოდ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ავადმყოფური გადაგვარებისაკენ უბიძგებს – ძალიან შორს მივყავართ: არის ინფორმაციები, რომ ასეთი შეუპოვარი და აღვირახსნილი საჯარო საინფორმაციო პროპაგანდის უკან მსოფლიოში უმდიდრესი – ე. წ. ცისფერი კლანი დგას და მესამე პირთა თუ ორგანიზაციათა მეშვეობით ახდენს საბანკო თუ არასაბანკო დაფინანსებას ტელემედიის ამ ტენდენციურ მსახურთა სულების წარწყმედისათვის.

ადამიანთა გაუკულმართებაზე რომ არაფერი ვთქვათ (რაც დამარცხების უმთავრეს მისტიკურ და რეალურ იარაღს წარმოადგენს; გავიხსენოთ თუნდაც სოდომისა და სხვა ბიბლიურ ქალაქთა მოსახლეობის ომებში დამარცხებანი თუ სტიქიური კატაკლიზმებით განადგურებაძ – დიქტატორები თავიანთი მმართველობისას შოუგართობისა და სექსის კულტურის დანერგვას უშურველად იმიტომ უწყობდნენ ხელს, რათა მოსახლეობის ყურადღება ქვენაგრძნობებზე გაემახვილებინათ, ვიწრო, ეგოისტური ინტერესებით შემოეფარგლათ, ცოდვის საკუთარ ნაჭუჭში ჩაეკეტათ და მთავარ საკითხებში გაერთიანებისაგან ჩამოეცილებინათ.

ბეჭდვითი სიტყვის საშუალებები ლაპარაკობენ ბავშვებსა თუ მოზარდებზე ტელევიზიის დამანგრეველი გავლენის შესახებ... ბავშვი იმდენად იწოვს ტელეგადაცემათა შთაბეჭდილებებს, რომ შეისისხლხორცებს კიდეც მათში აღბეჭდილ მოვლენებს და ცდილობს, იცხოვროს იმ ცნებებით, რაც ტელეეკრანმა შესთავაზა. ნებსით თუ უნებლიედ, ტელევიზორი კოდირებას იწვევს ბავშვებისა და მოზარდების მოქმედების, აიძულებს, იცხოვრონ იმ კანონებით, რაც მათ თავს მოახვია...

ერთ-ერთ ყოველკვირეულ ეკოლოგიურ გაზეთში მეცნიერი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და ფილოლოგი წერს: „ბევრი სპეციალისტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მასობრივი განადგურების იარაღს ადარებს, რომელსაც ხალხთა მოქმედების წარმართვა ძალუძს; მას აგრეთვე ძალა შესწევს, სახელმწიფოები რაკეტებისა და ბომბების გარეშე გაანადგუროს. ნეგატიური ინფორმაცია ფსიქიკაზე თანდათან მოქმედებს და ღრმა უარყოფით ინსტინქტებსა და მისწრაფებებს აღძრავს. ასე ხდება სტერეოტიპების ფორმირება... ტრადიციული კულტურული საფუძვლების



# მომაკვდინებელი ცოდვა

მსხვრევა, რასაც აკეთებს კიდეც ჩვენი ტელევიზია, დამღუპველია ბავშვის ფსიქიკისათვის“...

ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფილი მაღალჩინოსანი ხელმძღვანელის იან კუპერისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომლის ლეონ გონსალეს-მატას ინფორმაციები ცხადყოფს, რომ აღნიშნული ცისფერი კლანის ძირითად საფასადო პოლიტიკურ დოქტრინებს წარმოადგენს: სქესისა და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა ფართომასშტაბიანი პროპაგანდა; „ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა“; და, რაც მათთვის ყველაზე მთავარია, მოხდეს საყოველთაო „ინდივიდუალური თავისუფლებისა“ თუ ე. წ. ცისფერი კანონების მიღება, ცისფერი ეკრანის „თავისუფლებისმოყვარე გმირთა“ (ე. წ. ცისფერ ვარსკვლავბიჭუნათაძ რეკლამირება და, შესაბამისად – „მოსახლეობის დემოგრაფიული რეგულირება“...

ერთ-ერთი მაღალიერარქიული ღვთისმსახურის თეოლოგიურ ნაშრომში კი ე. წ. დემოკრატიული „თავისუფლების“ შესახებ შემდეგ მამხილებლურ სიტყვას ვეცნობით: „სულიერი პლურალიზმის იდეა“, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ადამიანთა ცნობიერებაში ინტენსიურად ინერგება, – პორნოგრაფიული კულტის არნახულ პროპაგანდას წარმოადგენს და ადამიანს ქვენაგრძნობათა მონად აქცევს... იმისათვის, რომ ადამიანი მანიპულირებად არსებად აქციო... და ქვეყანაც დააქციო – ნაცად საშუალებას უნდა მიმართო... გერმანელი და იაპონელი დამპყრობელნი აქტიურად ნერგავდნენ პორნოგრაფიულ კულტს ოკუპირებულ ტერიტორიებზე... მწერალი ოლდოს ჰაქსლი შიმშილისა და სექსის ნაცადი საშუალებებით მანიპულირებას შემდეგნაირად აღწერს: „პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას – სექსუალური თავისუფლების ტენდენცია თან ახლავს უცილობლად... დიქტატორი კი ყოველივეს გააკეთებს იმისათვის, რომ წაახალისოს კიდეც ამგვარი თავისუფლება... ეს ხერხი ხომ უთუოდ შეაგუებს მონობის უცილობელ ხვედრს მის ქვეშევრდომთ“...

ის რომ, არამცთუ სოდომურ-ლესბოსური, არამედ ე. წ. ეროტიკულ სცენათა პროპაგანდაც მომაკვდინებელ, დიდ ცოდვას წარმოადგენს, VI მსოფლიო საეკლესიო კრების მე-100 მუხლშიც მკვეთრადაა ხაზგასმული და მსგავსი ქმედების ჩამდენთ ეკლესია არამცთუ თავის შვილებად, არამედ ეკლესიიდან განყენებულად თუ ქრისტეს მოწინააღმდეგეებად მიიჩნევს და მოუნანიებლობის შემთხვევაში – მათ საბოლოოდ ველარც ქრისტიანულად დაკრძალავს და ვერც წესს აუგებს.

არცოდნა არ ამართლებს ადამიანს, მით უმეტეს, რომ აღნიშნული ტელემედიის თითქმის ყველა გადაცემის წამყვანთათვის პირადად მაქვს გადაცემული ჩემი რედაქციით გამოცემული, დეკანოზ აკაკი მელიქიძის „ჯვრისწერის საიდუმლო და ეკლესიური ოჯახი“, სადაც ისტორიულ და უმთავრეს თეოლოგიურ წყაროებზე დაყრდნობით – ფუნდამენტურადაა განმარტებული აგრეთვე ე. წ. სქესობრივ უმცირესობათა გაუკულმართებული ყოფაქცევისა თუ მათი პროპაგანდისტების უდიდესი მავნებლობა არამარტო მათთვის, არამედ ქვეყნის აწმყოსა და მომავლისთვისაც.

„კაცი, რომელიც გაუძლებს საცდურს... მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს... ცოდვა კი, ჩადენის შემდეგ, შობს სიკვდილს“ (იკ. 1,12-15ძ, – გვმოძღვრავს მოციქული. მაცხოვარი კი გვაფრთხილებს: „ვაი იმ კაცს, ვისგანაც მოდის საცდური“ (მთ. 18,7ძ; „და ვინც აცთუნებს თუნდაც ერთ ამ მცირედთაგანს, რომელთაც მე ვწამვარ, უჯობს, წისქვილის დოლაბი დაჰკიდონ კისერზე და ზღვაში დანთქან“ (მკ. 9,42ძ.

ათ მცნებაში ხაზგასმულია აგრეთვე გადამრჩენი მოწოდება – „არა იმრუშო“! – რომელიც ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წიგნებში არაერთგზისაა ნათქვამი და მთელ ბიბლიას წითელ ხაზად გასდევს (გამოსვლათა 20,14; II სჯ. 5,18; მთ. 5.27; 19,18, მრ. 10,19; ლკ. 18,20; იკ. 2,11; რომ. 13,9ძ. ასე რომ, აღნიშნული მედია – არამარტო პოლიტიკური საკითხების მიმართ ტენდენციურობაშია მუდმივად შემჩნეული, არამედ საღმრთო აქსიომათა მიმართ სისტემატიურად საპირისპირო საქმიანობაშიც...

ის ფაქტი, რომ ქრისტიანობის (და ასევე სხვა ტრადიციულ რელიგიურ მიმდინარეობათაძ საწინააღმდეგო სწავლება-პროპაგანდას მთელი ქვეყნის მასშტაბით გამალებით ეწევა ეს ე. წ. არასამთავრობო ტელემედია – ჯანსაღად მოაზროვნე ყველა ადამიანს გვავალდებულებს, ბოიკოტი გამოვუცხადოთ „დემოკრატიულობის“ ნიღბით ჩვენს ქვეყანაში გაბატონებულ იუდა-გამცემლობას – საღმრთო მორალურ-ზნეობრივი გრძნობებისა თუ სამშობლოს მოღალატურ აგიტაციას. ამ მედიის გამიზნული და მოუნანიებელი საქმიანობა საეკლესიო კრებისა თუ წმინდა სინოდის მიერ ანათემაზე გადაცემას ითვალისწინებს, მაგრამ ჩვენ ის მაინც გავაკეთოთ, რომ საპატრიარქოს საგანგებო განცხადებით სრული უნდობლობა გამოვუცხადოთ ანტისახელმწიფოებრივ, ანტიეროვნულ, ანტირელიგიურ თუ ფსევდოდემოკრატიულ პროპაგანდისტულ გამოსვლებსა და მათ ორგანიზატორებს.

გაუკულმართებული დემოკრატიის დამნერგველთა საპასუხოდ კი ჩვენ ისეთი ავტორიტეტული სიტყვის გადამჭრელად წარმოთქმა გვჭირდება, როგორსაც ეკლესია გვასწავლის. ამასთან დაკავშირებით კი შემდგომი მოძღვრება უნდა გავიხსენოთ ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის მიერ ნაკურთხი წიგნიდან „ლექციები სამოძღვრო ღმრთისმეტყველებისათვის“, სადაც სქიმარქიმანდრიტი მაგისტრი ღმრთისმეტყველებისა ქრისტესმიერი მხილებისათვის ეკლესიის დიდი მასწავლებლის – წმ. იოანე ოქროპირის სიტყვით ასე გვმოძღვრავს – „ნუ დანიშნავ განსაზღვრულ დროს, დაე, მუდამ გქონდეს დრო ამისათვის, და არა მხოლოდ მშვიდობის, სიმშვიდისა თუ ეკლესიაში ყოფნის დროს; თუნდაც საფრთხეში იყო, ან საპყრობილესა შინა, ან ბორკილები გედოს, თუნდაც სიკვდილზე წასასვლელად ემზადებოდე, მაშინაც ამხილე“ (გვ. 221ძ.

საქართველოს საზოგადოებრიობის ერთი ნაწილის სახელით

**მირონ (მერაბ) სულაქველიძე,**
ჟურნალ „ლაზარეს აღდგინების“ რედაქტორ-გამომცემელი,
ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული აკადემიის (მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარების ფონდის) ნამდვილი წევრი

◎ გლეხებს მიწას ართმევენ

# ბურები დედოფლისწყაროში

**საქინფორმის ინფორმაციით, ბოლო ხანს აქტუალურია ბური ფერმერების საქართველოში ჩამოსახლების თემა, რაც ხელისუფლების მიერ რამდენიმე სოფელში მიწების ჩამორთმევის აქტიურმა პოლიტიკამ განაპირობა.**

საქინფორმის წყაროს ინფორმაციით, წლევანდელი ზაფხულიდან სამი ათას ჰექტარზე მეტი ასეთი მიწის მფლობელი ათეულობით ბური ფერმერი გახდა. ხელისუფლება ამ პროცესს საზოგადოებას უმალავს. **„ეჭვებს კი ის იდუმალი მოლაპარაკებები ამძაფრებს, რომლებსაც, რა გასაკვირიც უნდა იყოს, სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში მირზა (პაპუნა) დავითაია აწარმოებს. გაუგებარია – თუკი ბურების ჩამოსახლება ემსახურება ქართული ეკონომიკის წინსვლას ან საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას, რატომ აწერს ხელს 2010 წლის 18 აგვისტოს მემორანდუმს დავითაია და არა ეკონომიკის ან სოფლის მეურნეობის მინისტრი? ეს მაშინ, როდესაც მემორანდუმის მეორე მხარის წარმოდგენილია სამხრეთ აფრიკის ეროვნული აგრარული კავშირის გენერალური მენეჯერი ბენი ვან ზილი“,** – აცხადებს წყარო.

**„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში უცხოელ ინვესტორებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების მიყიდვა კვლავ გრძელდება“,** – აცნობა საქინფორმს წყარომ. მისივე ინფორმაციით, **რაიონის ვაჩნაძის ქუჩის მცხოვრებნი 15 წელია, ამუშავებენ საუბნო მიწას, რომელიც მდებარეობს შირაქში ნაზარლების ტერიტორიაზე. ამჟამად 19 ოჯახიდან უმეტესობა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ ახერხებს მიწების პრივატიზებას და რჩებიან საარსებო ლუკმის გარეშე. ეს ინფორმაცია „თავისუფალი საქართველოს“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თამილა გურაშვილმაც დაადასტურა და აღნიშნა, რომ ამ ქუჩის მცხოვრებთა განცხადებით, მიწის დასაკანონებლად იმდენად დიდი თანხაა საჭირო, რომ ისინი ვერ შეძლებენ პრივატიზებას. მისი ვერსიით, არსებობს ეჭვი, რომ ხელისუფლებას სურს ამ მიწების ხელში ჩაგდება და უცხოელებზე გაყიდვა, ისე როგორც ეს აქამდე ხდებოდა.**

**წყაროს ცნობით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიწების სოლიდურ ნაწილს უცხოელი ინვესტორები ფლობენ. სოფელ ზემო ქედის, არხილოსკალოს მოსახლეობას ეკონომიკის სამინისტრომ გაუყიდა 3050 ჰექტარი მიწა, სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობა დღემდე აპროტესტებს 1050 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწების გაყიდვას, თუმცა – უშედეგოდ. ქიზიყელები ოდითგანვე მიწების დამუშავებით ირჩენდნენ თავს, ახლა მათ ეს საშუალება მთავრობამ წაართვა და დატოვა უსახსროდ.**

ნატა ნიბლაძე

## განცხადება

სააქციო საზოგადოება „თბილსრესმშენი“ აცხადებს:

2011 წლის 23 დეკემბერს, პარასკევს, 14 საათზე შედგება აქციონერთა საერთო კრება.

მისამართი: ქ. თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზირი 39 (საზოგადოების ოფისი ქ. თბილისშიძ.

დღის წესრიგი:

1. 2010 წლის სამეურნეო ფინანსური ანგარიში;
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.

დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭო

ნომრის კარიკატურა



— სად ეშმაკებში დაეთრეოდი მთელი ღამე?

— ზუსტად მიხვდი, საყვარელო, შენს ნათესავებთან ვიყავი.

ამირან ერაძის ნახატი.

კალათბურთი

# ევროლიგა ჩვენიცაა



**უკვე გაუწყეთ, რომ ნბა-ში ლოკაუტი დასრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპაში დროებით გადმობარგებული პროფესიონალი კალათბურთელები 25 დეკემბრისთვის დაგეგმილი ახალი სეზონის სტარტისთვის ოკეანის გაღმა თანდათან დაბრუნდებიან.**

მათ შორისაა საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია, რომელიც ევროლიგის ჯგუფური რაუნდის VII ტურის შემდეგ ოფიციალურად გამოეთხოვა სტამბოლის „გალათასარაის“. მისი აწ უკვე ყოფილი პარტნიორები ბევრს ეცადნენ, ჩვენი თანამემამულისთვის კეთილად მოსაგონარი გაცილება მოეწყოთ, ყაზანში „უნიქსთან“ გამართული უმნიშვნელოვანესი მატჩის დებიუტში დაწინაურდნენ კიდეც – 17:9, მაგრამ უილკინსონის სამქულიანების წყალობით თათრეთის პრეზიდენტ მინტემირ შაიმიევის თანადგომით გამხნევებულმა მასპინძლებმა მეორე პერიოდში გარდატეხა შეიტანეს თამაშის ხასიათში და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს – 72:61. 18 წუთში მოგროვებული 5 ქულა (ხუთივე – საჯარიმოებიდან) და 6 მოხსნა – ასეთია „ჯვაროსანთა“ ლიდერის პირადი მონაგარი, რომელმაც ბრძოლა სასტარტო ხუთეულში დაიწყო.

კიდევ უფრო ნაყოფიერად გაისარჯნენ გიორგი შერმადინი (19 წუთში – 8 ქულა და 4 მოხსნა) და მანუჩარ მარკოიშვილი (21 წუთში – 7 ქულა და 6 მოხსნა), რომელთა ძალისხმევამაც გარკვეულწილად განაპირობა კიდეც „კანტუს“ მიერ „ტაუგრესის“ ძლევა – 71:68.

**გაუწყებთ VII ტურის სრულ შედეგებს.**

**„ა“ ჯგუფი.** „ბილბაო“ – „ნანსი“ 97:75, „ფენერბახჩე“ – „ოლიმპიაკოსი“ 86:70, „კანტუ“ – „ტაუგრესი“ 71:68.

„ფენერბახჩე“, „ტაუგრესი“, „კანტუ“ – 4-4, „ბილბაო“, „ოლიმპიაკოსი“, „ნანსი“ – 3-3 მოგება.

**შემდეგი ტური:** „ბილბაო“ – „კანტუ“, „ნანსი“ – „ფენერბახჩე“ (7 დეკემბერი), „ოლიმპიაკოსი“ – „ტაუგრესი“ (8 დეკემბერი).

**„ბ“ ჯგუფი.** „პანათინაიკოსი“ – „ზაგრები“ 94:76, „ბროზე“ – ცსკა 78:81, „ჟალგირისი“ – „უნიკახა“ 67:65.

ცსკა – 7, „პანათინაიკოსი“ – 5, „უნიკახა“ – „3, „ბროზე“, „ჟალგირისი“, „ზაგრები“ – 2-2 მოგება.

**შემდეგი ტური:** ცსკა – „ზაგრები“, „ჟალგირისი“ – „პანათინაიკოსი, „უნიკახა“ – „ბროზე“ (7 დეკემბერი).

**„გ“ ჯგუფი.** „შარლერუა“ – „ეფეს პილსენი“ 62:66, „პარტიზანი“ – „მაკაბი“ 74:71, „მილანი“ – „რეალი“ 65:72.

„მაკაბი“, „რეალი“ – 5-5, „ეფეს პილსენი“, „პარტიზანი“ – 4-4, „მილანი – 2, „შარლერუა“ – 1 მოგება.

**შემდეგი ტური:** „ეფეს პილსენი“ – „მილანი“, „შარლერუა“ – „პარტიზანი“, „რეალი“ – „მაკაბი“ (8 დეკემბერი).

**„დ“ ჯგუფი.** „პროკომი“ – „ბარსელონა“ 45:76, „უნიქსი“ – „გალათასარაი“ 72:61, „ოლიმპია“ – „მონტეპასკი“ 57:63.

„ბარსელონა“ – 7, „მონტეპასკი“, „უნიქსი“ – 5-5, „გალათასარაი“ – 3, „ოლიმპია“ – 1, „პროკომი“ – 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „გალათასარაი“ – „მონტეპასკი“, „პროკომი“ – „ოლიმპია“ (7 დეკემბერი), „ბარსელონა“ – „უნიქსი“ (8 დეკემბერი).

პრესტიჟის საქმე

# პროფესიონალებს „გალფი“ დააფასებს

**გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაიმართა ფოტოკონკურს „ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდისათვის“ პრეზენტაცია, რომელსაც უძღვებოდა ამავე სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი სამყურაშვილი.**

გენერალური სპონსორის – კომპანია „გალფის“ მიერ მხარდაჭერილი პროექტის გამარჯვებულები გამოვლინდებიან ხუთ ნომინაციაში: სპორტი, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, ტრადიცია, პორტრეტი და მოგზაური, ხოლო საუკეთესო ნამუშევართა ავტორები 500-500 ლარით დაჯილდოვდებიან.

ალსანიშნავია, რომ კონკურსში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. მათ ვაუწყებთ, რომ ერთ მომხმარებელს სამინისტროს ვებგვერდზე მაქსიმუმ 5 სურათის ატვირთვის უფლება აქვს, მათი მიღება კი 23 დეკემბერს დასრულდება.




მოტივაციას ის ფაქტი ზრდის, რომ 100 ყველაზე რეიტინგული სურათის ავტორი კონკურსის მეორე ეტაპზე გადავა, ხოლო მათგან 20 საუკეთესო 27 დეკემბერს, ერთი დღის განმავლობაში საგამოფენო ცენტრ „ვერნისაჟის“ (ყოფილი საგამოფენო დარბაზი „კოპალა“) დარბაზში იქნება წარმოდგენილი.

**დასასრულს, გაგაცნობთ ჟიურის შემადგენლობას.**

**დავით მძინარიშვილი** – საინფორმაციო სააგენტო „როიტერის“ ფოტოკორესპონდენტი.

**ლელა ბლაგონრავოვა** – „იუნესკოს“ ფოტოგრაფი.

**თამარ ყულუმბეგაშვილი** – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ფოტოგრაფი.

**სალომე ბენიძე** – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს აპარატის უფროსი.

**ლაშა თევზაძე** – კომპანია „გალფის“ მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

ფეხბურთი

# დეკემბერშიც თამაშობენ

**უეფას ევროპის ლიგის გათამაშების ჯგუფური ეტაპის ფინიშამდე ერთი ტურით ადრე პლეი-ოფში გასვლის შანსს ინარჩუნებს ლადო დვალიშვილის ებრაული კლუბი ჰაიფას „მაკაბი“.**

მართალია, ტურნირის მეხუთე მატჩი მან კვიპროსზე ლარნაკას აეკთან წააგო – 1:2, მაგრამ მაინც მეორე პოზიციაზე დარჩა და უახლოეს მდევრებს ერთი ქულით უსწრებს. „ჯვაროსანთა“ თავდამსხმელს ამჯერად გოლი არ გაუტანია.

ასევე მარცხიანად ითამაშა გრაცის „შტურმმა“, რომლის მარცხენა მცველმა გიორგი ფოფხაძემ თავი მხოლოდ ყვითელი ბარათის მიღებით „გამოიჩინა“, თვით მატჩი კი მასპინძელმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ მოიგო – 3:1. ამ წაგებით ავსტრიელებმა მერვედფინალში გაღწევის ყველანაირი პერსპექტივა დაკარგეს.



**იმავე დღის სრული შედეგები ასეთია:**

**„დ“ ჯგუფი.** „სპორტინგი“ – „ციურიხი“ 2:0, „ვასლუი“ – „ლაციო“ 0:0.

„სპორტინგი“ – 11, „ლაციო“, „ვასლუი“ – 6-6, „ციურიხი“ – 2 ქულა.

**14 დეკემბერს ითამაშებენ:** „ციურიხი“ – „ვასლუი“, „ლაციო“ – „სპორტინგი“.

**„ე“ ჯგუფი.** „სტოკი“ – „დინამო“ (კიევი) 1:1, „მაკაბი“ (თელ-ავივი) – „ბეშიქთაში“ 2:3.

„სტოკი“ – 11, „ბეშიქთაში“ – 9, „დინამო“ (კიევი) – 6, „მაკაბი“ (თელ-ავივი) – 1 ქულა.

**14 დეკემბერს ითამაშებენ:** „დინამო“ (კიევი) – „მაკაბი“ (თელ-ავივი), „ბეშიქთაში“ – „სტოკი“.

**„ვ“ ჯგუფი.** „ზალცბურგი“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 2:0, „ბილბაო“ – „სლოვანი“ 2:1.

„ბილბაო“ – 13, „ზალცბურგი“, „პარი სენ-ჟერმენი“ – 7-7, „სლოვანი“ – 1 ქულა.

**14 დეკემბერს ითამაშებენ:** „სლოვანი“ – „ზალცბურგი“, „პარი სენ-ჟერმენი“ – „ბილბაო“.

**„კ“ ჯგუფი.** „შალკე“ – „სტიაუა“ 2:1, აეკი (ლარნაკა) – „მაკაბი“ (ჰაიფა) 2:1.

„შალკე“ – 11, „მაკაბი“ (ჰაიფა) – 6, „სტიაუა“, აეკი (ლარნაკა) – 5-5 ქულა.

**14 დეკემბერს ითამაშებენ:** „სტიაუა“ – აეკი (ლარნაკა), „მაკაბი“ (ჰაიფა) – „შალკე“.

**„ლ“ ჯგუფი.** „ტვენტე“ – „ფულჰემი“ 1:0, „ოდენსე“ – „ვისლა“ 1:2.

„ტვენტე“ – 13, „ფულჰემი“ – 7, „ვისლა“ – 6, „ოდენსე“ – 3 ქულა.

**14 დეკემბერს ითამაშებენ:** „ვისლა“ – „ტვენტე“, „ფულჰემი“ – „ოდენსე“.

**„მ“ ჯგუფი.** „ლოკომოტივი“ – „შტურმი“ 3:1, აეკი (ათენი) „ანდერლეხტი“ 1:2.

„ანდერლეხტი“ – 15, „ლოკომოტივი“ – 12, „შტურმი“ – 3, აეკი (ათენი) – 0 ქულა.

**14 დეკემბერს ითამაშებენ:** „ანდერლეხტი“ – „ლოკომოტივი“, „შტურმი“ – აეკი (ათენი).



**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მამულიშვილი, რესპუბლიკური სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ყოფილი თავკაცი**

**იოსებ ხარატიშვილი**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

ინტერნეტიდან

## ზედიზედ მეხუთედ




**მსოფლიოს პირველი ჩოგანოსანი ქალი, დანიელი კაროლინ ვოზნიაცკი ზედიზედ მეხუთედ აღიარეს თავისი ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელად. გასულ სეზონში კაროლინმა გაიმარჯვა WTA ექვს ტურნირში (დუბაიში, ინდიანა-უელსში, ჩარლსტონში, ბრიუსელში, კოპენჰაგენსა და ნიუ-ჰეივენში), ასევე ზედიზედ მეორედ დაამთავრა წელი, როგორც მსოფლიო რეიტინგის პირველმა მოთამაშემ.**

თავად სპორტსმენი ქალი ვერ ჩავიდა დაჯილდოებაზე. ფედერაციას კი მადლობის ბარათი გაუგზავნა. ამ დროს ის დროს ატარებდა თავის მეგობართან, ბრიტანელ მეგოლფე რიჩი მაკილორისთან, რომელიც მონაწილეობდა აზიისა და ჩრდილო ამერიკის ტურნირებში.

## კინოშიც გაიმარჯვებს

**ფილმის „დაუოკებლები-2“ გადაღებაზე სოფიაში მიიწვიეს ვაჟთა შორის მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი.**



**ახალი ფილმი არის 2010 წლის იმავე სახელწოდების ფილმის გაგრძელება და ეკრანებზე მომავალ ზაფხულში გამოვა.**

სერბი ჩოგბურთელის პარტნიორები ფილმში იქნებიან ცნობილი მსახიობები ჯეისონ სტეტჰემი და დოლფ ლუნდგრენი. რეჟისორი კი ისევ სილვესტერ სტალონე იქნება.

ეს იქნება ჯოკოვიჩის დებიუტი დიდ ეკრანზე, თუმცა მას ეპიზოდური როლი შეხვდა.

ჩოგბურთელთა წრეებში ნოვაკი ცნობილია თავისი პაროდიებით კოლეგებზე, ისე რომ, კინოში მონაწილეობა მას არ გაუჭირდება.

## თაღლითობაში გამოიჭირეს

**ნორვეგიული კლუბების „ვოლერენგისა“ და „სტაბეკის“ სპორტული დირექტორები დააპატიმრეს თაღლითობისთვის. გამოძიება მიმდინარეობს ისლანდიელი თავდამსხმელის ვეიგარ გუნარსონის ტრანსფერის გამო, 2011 წლის აგვისტოში „სტაბეკიდან“ რომ გადავიდა „ვოლერენგში“.**




დაკითხვის შემდეგ ორივე ფუნქციონერი ქვეყნიდან გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლეს. კლუბების ოფისები კი გაჩხრიკეს და დოკუმენტები ამოიღეს. ნოემბერში ორივე გუნდი დააჯარიმეს დანიელი ფეხბურთელის რეალური ღირებულების დაფარვისთვის, რათა გამოსაღები თანხა არ გადაეხადათ ფეხბურთელის ყოფილი გუნდისთვის.

## ჩოგბურთისა და სიმღერის სიყვარულით

**მართალია, გასული სეზონის შედეგების მიხედვით „რივიერ. პლეიტამ“ დატოვა არგენტინის საფეხბურთო ელიტა, მაგრამ გულშემატკივრებმა, მათ შორის მისმა თავგადაკლულმა ქომაგმა ლუსიანა ლოპილატომ ის როდი მიატოვეს. ამას წინათ ლამაზმანმა ერთხელ კიდევ გაახარა გუნდისა და თავისი გულშემატკივრებიც, ქვედა თეთრეულის რეკლამაში თავისი მომხიბვლელი ფორმები რომ გამოაჩინა.**

2008 წელს მსახიობი ქალი დაუკავშირდა ჩოგბურთელ ხუან მონაკოს, რომელმაც მას ფეხბურთთან ერთად ჩოგბურთიც შეაყვარა. ლამაზმანმა კორტების ტრიბუნებზე უამრავი მაყურებელი, პირველ რიგში, მამაკაცები მიიზიდა.



უფრო ადრე კი, 2003 წლის ნოემბერში ბუენოს-აირესში გასტროლების დროს მან გაიცნო კანადელი მომღერალი, „გრემის“ პრემიის მფლობელი მაიკლ ბუბლე. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება, მალე 35 წლის მომღერალმა და 23 წლის მსახიობმა იქორწინეს. შემდეგ კი თავიანთი კავშირი კლიპშიც გადაიღეს.

ხიდები

# თანამშრომლობა უნდა განვითარდეს

**საქართველო-თურქეთის პირველი საერთაშორისო კონფერენციის – „ინეკოსპექტრანსის“ 20 წლისთავი**

**20 წლის წინათ გაიმართა საქართველო-თურქეთის პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია — „ინეკოსპექტრანს-91“, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოსა და თურქეთს შორის თანამშრომლობის შემდგომ გაძლიერებას მთიან რეგიონებში ეკოლოგიურად სუფთა სპეციალური საბაგირო და მონორელსური ტრანსპორტის შექმნისა და განვითარების დარგში.**

— კონფერენციას, — იგონებს მისი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქსპექტრანსის გენერალური დირექტორი, პროფესორი შოთა ორჯონიკიძე, — თავისი მთავარი მიზნის გარდა, ჰქონდა ერთობ უცნაური, ჩვენი ქვეყნისთვის უსიამოვნო თავგადასავალი. მისი გახსნის წინა დღეს საჩხერისა და ჭიათურის რაიონებში მოხდა ძლიერი მიწისძვრა. დაინგრა სახლები, უამრავი ადამიანი დარჩა უსახლკაროდ. ამ ექსტრემალურ სიტუაციაში ქვეყანაში აიკრძალა ყოველგვარი ღონისძიება. არადა ბათუმში უკვე ჩამოვიდა თურქეთის დელეგაცია, რომელშიც 33 წევრი იყო. მას ანკარის გუბერნატორი ხელმძღვანელობდა.

დელეგაციამ და ბათუმში თურქეთის რესპუბლიკის კონსულმა მოითხოვეს სათანადო გადაწყვეტილების მიღება. ეს კი საქართველოს მთავრობის კომპეტენცია იყო. მაგრამ აქ საქმეში ჩაერია აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონი ნანი გუგუნავა.

მისი შუამდგომლობითა და ძალისხმევით კონფერენცია გაიმართა ბათუმში. მეორე დღეს კონფერენციის მონაწილენი ქობულეთის რაიონში გაეცვნენ მონორელსური ტრანსპორტის სისტემების მუშაობას ციტრუსების პლანტაციებში, ბევრი რამ თავიანთთვის საყურადღებო ჩაიწერეს.

ისინი იყვნენ აგრეთვე ქუთაისის საავტომობილო ქარხანაშიც. მაგრამ მეტად საყურადღებო იყო ის ფაქტი, რომ კონფერენციის მსვლელობის დროს თურქეთის წარმომადგენლებმა შეძლეს სათანადო კავშირების მეშვეობით უმოკლეს დროში შეეგროვებინათ თავიანთ ქვეყანაში მნიშვნელოვანი რაოდენობის საკვები პროდუქტები და საყოფაცხოვრებო ნივთები და ისინი მანქანებით ჩაიტანეს მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში. მოსახლეობა დიდად კმაყოფილი დარჩა ქველმოქმედებით.

კონფერენციის მეორე სხდომა ბორჯომში გაიმართა. თურქმა ბიზნესმენებმა, გუბერნატორებმა და მერებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ბორჯომის კურორტისადმი და თავიანთი წინადადებები თანამშრომლობისთვის გააცნეს რაიონის ხელმძღვანელობას. დაიგეგმა ბევრი საინტერესო ღონისძიება, რომლებიც წარმატებით განხორციელდა კიდეც, ზოგიერთი მათგანი დღესაც ძალაში რჩება.

ბორჯომის მინერალური წყლების პარკში კონფერენციის უცხოელი მონაწილეები დიდად მოხიბლა იქ მოქმედმა საბაგირო გზამ. მათ გამოთქვეს ამ ბაგირგზების მსგავსი სატრანსპორტო საშუალებების მშენებლობის სურვილი თურქეთის მთიან რეგიონებში ქართველი სპეციალისტების დახმარებით და მონაწილეობით. დაიგეგმა პრაქტიკული ღონისძიებები. ჩვენმა სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს მათ განხორციელებაში.

კონფერენციის მონაწილეებს შეხვედრები ჰქონდათ საქართველოს ხელისუფლების მაღალ ინსტანციებშიც.

მისმა დასკვნითმა სხდომამ, რომლის მუშაობაშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ცნობილი თურქი პოლიტიკური მოღვაწე, პარლამენტის წევრი ჰასან ქორთმაზჯანი, შეიმუშავა ფართომასშტაბიანი რეკომენდაციები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამეცნიერო-ტექნიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას ხანგრძლივი პერიოდისთვის, უწინარეს ყოვლისა, ართვინისთვის საბაგირო ტრანსპორტის განვითარების სამუშაოების შესრულებას.

კარგი იქნებოდა, თუ თანამშრომლობა ამ დარგში თურქეთსა და საქართველოს შორის კვლავ აღორძინდება და განვითარდება.

**ზურაბ ლომიძე**

ჩვენი კარაბადინი

# როდესაც სისხლძარღვები ყვირიან SOS

**ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის გაჩენას ბევრი ჩვენგანი გადაყრია. მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ეს პრობლემა ჩვენი ცხოვრების წესის შედეგია. სიტყვას ვაძლევთ ჩვენს ექსპერტს, ექიმ-ანგიონევროლოგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ევგენი შიროკოვს.**

## უნებლიე ტანჯულები

**უსიამოვნებათა ოდენობით, რაც მისით დაავადებულებს ხვდებათ, ვაზოსპასტიკურ სინდრომს (მას აგრეთვე ვეგეტოსისხლძარღვოვან დისტონიასაც ეძახიან) ბადალი არ ჰყავს. ამ დაავადებულთა საჩივრების სპექტრი შეიძლება გასაოცრად ვრცელი იყოს: გაძლიერებული გულისცემით, გულის ტკივილებით, ნაწლავების მოუწესრიგებლობით დაწყებული და გაზრდილი ოფლიანობით, ტემპერატურის უცნაური აწევით, ჰაერის უკმარისობის შეტევებით და კიდურების გაშეშებით დამთავრებული.**

როდესაც ვერ ხვდებიან, რა ემართებათ, საბრალონი იწყებენ სხვადასხვა სპეციალისტებთან მისვლას, უსიამოვნო სინდრომს მიაწერენ ხან ჰიპერტონიას, ხან წყლულოვან დაავადებას, ხან შაქრის დიაბეტს, ხან ბრონქულ ასთმას ან ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის გაჩენას. ექიმები მხოლოდ ხელებს შლიან: ვერაფერ ამას ისინი მათში ვერ პოულობენ.

მანამ, სანამ ტანჯული არ მოხვდება მიღებაზე გამოცდილ თერაპევტთან ან ნევროლოგთან და არ გაიგებს, რომ მისი უბედურებების წყარო — ეს არის თავის ტვინის სპეციფიური ვეგეტატიური ცენტრების მემკვიდრეობითი დისფუნქცია, რომელიც იწყებს თავის წამოჩენას ცხოვრების კრიზისულ მომენტებში.

## დაცვითი რეაქცია

**თუმცა მოვლენათა ასეთ განვითარებაში დამნაშავეა არა მხოლოდ მემკვიდრეობითობა, არამედ თანამედროვე ადამიანის, განსაკუთრებით დიდი ქალაქების მცხოვრებთა ცხოვრების წესიც, ვისი ვეგეტატიური ნერვული სისტემაც, რომელიც არეგულირებს გულ-სისხლძარღვთა, ენდოკრინულ და სხვა სისტემებს, იწყებს შეფერხებით მუშაობას.**

სინამდვილეში ჩვენი ორგანიზმი ევოლუციურადაა შეხამებული სხვადასხვა ცვლილებებთან და გარეგან რყევებთან. და ამ თვალსაზრისით ვაზოსპასტიკური სინდრომი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ჩვენი ორგანიზმის ფიზიოლოგიური რეაქცია, ადაპტაცია გარემოპირობებთან. ამ ბუნებრივი მექანიზმის წყალობით, ჩვენი სისხლძარღვები სიცხის პასუხად იწყებენ გაფართოებით რეაგირებას, ზრდიან სითბოს გამოყოფას, სიცივის დროს კი — პირიქით, ვიწროვდებიან, ჩვენი სხეულის შიგნით ინარჩუნებენ მუდმივ ტემპერატურას. ჩვენი გულსისხლძარღვთა სისტემაც ასევე რეაგირებს ფიზიკურ დატვირთვასა და სტრესზე.

## შეფერხება გაქვთ!

**მაგრამ ამ ბოლო პერიოდში სპეციალისტები სულ უფრო ხშირად აწყდებიან არაადეკვატურ სისხლძარღვოვან რეაქციებს გარეგან გამღიზიანებლებზე. რაც, მათი აზრით, დაკავშირებულია ჩვენი ცხოვრების შეცვლილ პირობებთან.**

ჯერ კიდევ სულ რაღაც 100 წლის წინათ ადამიანი თავისი მოთხოვნილებების 90 პროცენტს ფიზიკური შრომით მოიპოვებდა. მაგრამ ცივილიზაციის მიღწევების განვითარებასთან ერთად ფიზიკური დატვირთვის დონე ჩვენთან არსებითად ნაკლები გახდა, ემოციურობა კი — პირიქით, ამაღლდა. შედეგად ემოციური დაძაბვა ვერ პოულობს საჭირო გამოსავალს და ჩნდება დისფუნქცია, ჩვენში ჩადებული ადაპტაციის ბუნებრივი სისტემის განრეგულირება, რაც სულ უფრო და უფრო ხშირად იძლევა შეფერხებებს. თანაც, არცთუ იშვიათად, სრულიად ახალგაზრდა ადამიანებშიც.

თუ ამ სიტუაციას უყურადღებოდ დავტოვებთ, საქმე შეიძლება დამთავრდეს სერიოზული პრობლემებით გულსისხლძარღვთა და ნერვული სისტემების მხრიდან, კუჭ-ნაწლავთა ტრაქტით და ა.შ.

**ტატიანა გურიანოვა**

### სხვათა შორის

**ვეგეტონიკების უდიდესი უმრავლესობა ჰიპოტონიკია (ადამიანები დაბალი წნევით — 100-60 მმ ვერცხლისწყლის სვეტი მამაკაცებისთვის, 95-60 ქალებისთვის). მათთვის დამახასიათებელია გაზრდილი აგზნებადობა, შიში, კაპრიზულობა, სიცივისადმი მგრძნობელობა, მიდრეკილება გულის შეღონებისადმი.**

**წნევის დაწევას ასევე ხელს უწყობს ფარისებრი ჯირკვლის, გულსისხლძარღვთა და ცენტრალური ნერვული სისტემის ზომიერი დაავადება, აგრეთვე თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ჰეპატიტი, ღვიძლის ციროზი, ანემია.**

**ჰიპოტონიკებს შორის ბევრია ისეთებიც, ვინც დაკავშირებულია მავნე წარმოებასთან და დიდ ფიზიკურ დატვირთვასთან. სპორტსმენები, მაგალითად. არტერიული წნევის დაწევისა და იშვიათი პულსის ტენდენცია მათში — ეს სხვა არაფერია, თუ არა ორგანიზმის დაცვითი რეაქცია.**

ЗДОРОВЬЕ

სანთელი

# სოსო ხარატიშვილის ხიბლი



უკეთილშობილესი კაცი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, მაღალი ზნეობის მოქალაქე, დიდი მეურნე და საქართველოს მშენებელი, აი ვინ იყო იოსებ (სოსო) ხარატიშვილი.

მისი პიროვნების შეფასებისას ძნელია მოიძიო ისეთი ეპითეტი, რომელიც სრულყოფილად გამოხატავს ამ საყოველთაო ქართული თვისებებით გამორჩეული პიროვნების ფენომენს.

იშრომა და იღვაწა ისე, როგორც დიდ პატრიოტს, ქართულ სოფელზე, ქართულ მიწაზე, ქართულ ტრადიციებზე შეყვარებულ კაცს ეკადრება.

სასოფლო მშენებლობის ყოფილი მინისტრი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ვახტანგ გორგასლისა და „ღირსების ორდენების“ კავალერი, უბრალოდ — სიკეთისა და მეგობრობისთვის დაბადებული რაინდი, — აი ვინ იყო სოსო ხარატიშვილი...

მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს ღმერთმა! მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, ჩვენო დაუვიწყარო, იოსებ!

**ვიტალი ხაზარაძე, ამირან გამყრელიძე, დემურ გადელია, ივერი ჭელიძე, არნოლდ ჟვანია, ნუგზარ რუხაძე, ელიზბარ ლომინაძე, თენგიზ კალანდაძე, თემურ ხაზარაძე, ლევან ყიფიანი.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

ხსოვნა

# რევაზ ჩხეიძე



დიდი მწუხარებითა და გულისტკივილით ვემშვიდობებით ჩხეიძეების საგვარეულო სახლის ერთ-ერთ თვალსაჩინო და უსაყვარლეს წარმომადგენელს, ქვეყნისა და ხალხისთვის თავდადებულ მამულიშვილს, საქართველოს რკინიგზის სანიტარიული სამსახურის ღვაწლმოსილ ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს, საპატიო რკინიგზელს, ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხისა და „ღირსების ორდენის“ კავალერს, საქართველოს დამსახურებულ ექიმს, შესანიშნავი ოჯახის უფროსს, შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების ამაგდარ ადამიანს, რომელიც ოთხმოცდაათი წლის მანძილზე ემსახურა თავის ქვეყანასა და ხალხს. მისი პიროვნება ყოველთვის სამაგალითო იქნება ჩვენი საგვარეულოს ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. ჩვენ არასდროს დავივიწყებთ მის ნათელ სახელს.

ჩხეიძეების საგვარეულო სახლი

---

მარიამ ლორთქიფანიძე, ნუგეშა მაყაშვილი, ირინე ასათიანი, ოთარ ჯაფარიძე იუწყებიან უახლოესი მეგობრის

**რევაზ ჩხეიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

არკადი ჟორჟენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჯანმრთელობის დაცვის ცნობილი ორგანიზატორი, გამორჩეული პიროვნება

**რევაზ ჩხეიძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, არმაზ სანებლიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, ნუგზარ ფოფხაძე, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია თანაუგრძნობენ ანდრო დევდარიანსა და მაია კვეზერელი-კოპაძეს დედისა და დედამთილის

**მიმოზა თელიას**

გარდაცვალების გამო.

---

სანდრო პატეიშვილი, მანონი, მანანა ჩხიკვაძეები, ზურაბ ლომიძე გულისტკივილით თანაუგრძნობენ ხარატიშვილების ოჯახს შესანიშნავი პიროვნების

**სოსო ხარატიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ირაკლი ანდრიაძე ოჯახის სახელით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მშენებლობის ყოფილი მინისტრი, დამსახურებული ინჟინერი, კეთილშობილი პიროვნება

**იოსებ ხარატიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალექსანდრე კუჭუხიძე, ვიცე-პრეზიდენტები: თამაზ იმედაძე, პარმენ ლემონჯავა, პრეზიდიუმის წევრები: ნოდარ ჭითანავა, ლეო ჩიქავა, თეიმურაზ ბაბუნაშვილი, თამაზ დანელია, დემურ ღაღანიძე, თამაზ კობაიძე, ვაჟა კვალიაშვილი, არჩილ ვაშაკიძე, თამაზ კუნჭულია, ვლადიმერ გვარჯალაძე, გიორგი ხაზარაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე აკადემიის აკადემიკოსის

**დავით შარაშენიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ნათესავებს და მეგობრებს.

### მიმართვა მკითხველისადმი

# ჩვენ ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ!

ძვირფასო მკითხველო, თქვენ ეს კარგად იცით, მაგრამ 2011 წლის ბოლოს, ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის გააქტიურების ჟამს, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

„საქართველოს რესპუბლიკა“ ერთა-დერთი გამოცემაა, რომელიც ძირითადად ქვეყნის ყველა კუთხიდან გამოგზავნილ მკითხველთა წერილებით იქმნება. ამიტომაც ჩვენს გაზეთს ყველაზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.



დიდი მადლობა ასეთი გულწრფელი თანადგომისთვის.

ეს ფაქტი იმაზეც მეტყველებს, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“ ყველაზე სანდო, პრინციპული და სიმართლისმოყვარე ხალხისთვის შექმნილი გაზეთია.

„საქართველოს რესპუბლიკა“ თითქმის საუკუნოვანი (გამოდის 1918 წლიდანძ გამოცემაა და თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის, ეროვნული ღირსებისა და ცნობიერების გადარჩენისთვის მებრძოლი გაზეთია!

იგი ჩვენი უახლოესი წარსულისა და დღევანდელობის მართალი მატიანეა.

პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ყოფა, კულტურა და სპორტი, ღირსეულ ადამიანთა პატივგება, სატირა და იუმორი... „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე ყველაფერია, რაც კი ჟურნალისტის კალამმა შეიძლება შექმნას.

წინ დეკემბერია... ამიტომაც, ვისაც ჯერ კიდევ არ გამოგიწერიათ „საქართველოს რესპუბლიკა“, შეგახსენებთ, რომ 2012 წლისთვის უამგაზეთოდ არ დარჩეთ. თითოეულ ქართულ ოჯახს, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებს, უნივერსიტეტებსა და სკოლებს, ყველას, ყველას, ყველას, შეუზღუდავად შეგიძლიათ გამოიწეროთ ჩვენი გაზეთი და მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად ითანამშრომლოთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“.

**შეგახსენებთ იმ გამავრცელებელ ორგანიზაციებს და მათს ტელეფონის ნომრებს, რომლებიც დაუბრკოლებად გამოგიწერენ ყოველდღიურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“: მაცნე – 2 37 61 53; პლანეტა ფორტე – 2 93 38 75; საქპრესა – 2 51 59 05; პრეს-ექსპრესი – 2 96 23 11; ჯეომედია – 2 95 51 70; ელვასერვისი – 2 38 80 02; ინფო-2007 – 2 34 11 40; პრესა+ – 2 14 23 97; პილონი – 2 34 77 43.**

**რაიონებში ხელმოწერის გაფორმება შეგიძლიათ პრესის გამავრცელებელ ნებისმიერ ორგანიზაციაში.**

**ხელმოწერის ფასია 10 ლარი – ერთი თვით, 30 ლარი – სამი თვით, 60 ლარი – ექვსი თვით, 120 ლარი – ერთი წლით.**

ჩვენ ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ და საქართველო ავაღორძინოთ!

**გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ – თქვენი უპირველესი მეგზური და მეგობარი!**

**ჩვენო ძვირფასო მაღალგემოვნებიანო მკითხველო, ვინც „საქართველოს რესპუბლიკას“ ენდობი**

მიდი, ჯიხურში ყოველდღე ჩვენი გაზეთი იკითხე, თუ ქურში ჯდომა არ გინდა, შეიძინე და იკითხე!..

**ხოლო გამოწერა თვეში სულ 10 ლარი დაგიჯდება, სამაგიეროდ ყოველ დილით ცინცხალ ნომერს მიიღებ!..**

### განცხადება

ვიმუშავებ ძიძად სკოლის ასაკის ბავშვთან, შევასწავლი ინგლისურს და სხვა საგნებს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

მოვუვლი მოხუცებულს, შევასრულებ ექთნის მოვალეობას და საოჯახო საქმეს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

**რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 29 9-62-77; 599 32-85-76.**

### ცნობისმოყვარეთათვის

## სად, რა, როდის?

● ზიგმუნდ ფროიდი კოკაინის სამკურნალო თვისებებს იკვლევდა და მისი მომხმარებელიც გახლდათ, მცირე დოზებს თავის საცოლესაც უგზავნიდა.

● ცნობილი ფრანგი დიზაინერი, რომელიც ქალის მუხლს სხეულის უშნო ნაწილად მიიჩნევდა და ყოველთვის მის დაფარვას ცდილობდა, იყო კოკო შანელი.

● საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XVI კარგი მესაათე იყო.

● ფრანგი იმპრესიონისტი კლოდ მონე ცხოვრების ბოლო წელიწადს ისე იყო დასუსტებული, რომ სახატავად ხელს ველარ სწევდა. მას ტილოს წინ ხელის მტევანს თოკით უბამდნენ და ისე ხატავდა.

● იტალიური კინოს ლეგენდა მარჩელო მასტროიანი ძალიან ბევრ სიგარეტს ეწეოდა, რის გამოც ქრონიკული ხველებით იტანჯებოდა. შეწუხებულმა მსახიობმა ექიმს მიმართა. „დროა, მოწევას თავი დაანებო“, –ასეთი იყო ექიმის დასკვნა. მსახიობმა ამაზე უპასუხა: „ყველაფერი გასაგებია, დროა, ექიმი გამოვიცვალო“.

● რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ის თანამოაზრე, გენერალი და კონტრადმირალი პატრიკ გორდონი ეროვნებით შოტლანდიელი იყო.

● ერთხელ დეპრესიით შეპყრობილმა პაციენტმა, რომელსაც წამალი არ შველოდა, ექიმს რჩევისთვის მიმართა: „ყოველ დილით მიხაილ ზოშჩენკოს თითო მოთხრობა წაიკითხეთ“, – ურჩია ექიმმა. ამის გაგონებაზე პაციენტი უფრო დანაღვლიანდა, რადგანაც ის თავად იყო მიხაილ ზოშჩენკო.

● ცნობილი „გიორგის ჯვრების“ სრული კომპლექტი რუსეთის ისტორიაში მხოლოდ ოთხ კაცს ჰქონდა: მიხაილ ბარკლაი-დე-ტოლს, ივან დაბიჩს, ივან პასკევიჩსა და მიხაილ კუტუზოვს.

● მერლინ მონროს სახის პლასტიკური ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული – ნიკაპში ნახევარმთვარის ფორმის ზღვის ღრუბელი ჰქონდა ჩაკერებული.

● ცნობილ მეცნიერ ზიგმუნდ ფროიდს სიბერეში ყბა-სახის სიმსივნე განუვითარდა და 16 წლის განმავლობაში მას 33 ოპერაცია გაუკეთეს – ყბის ნაწილი საერთოდ მოკვეთეს, რის გამოც პროთეზს ატარებდა, რამაც მონსტრს დაამსგავსა და მას ასეც ეძახდნენ.

● ფროიდი ქალებს „ბნელ კონტინენტს“ ეძახდა.

● კაცობრიობის წინაშე ათენელი ტირან პისისტრატეს ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება სარედაქციო კომისიის დანიშვნა და მისი ფინანსური უზრუნველყოფა იყო, ხოლო მისი მუშაობის დროის უბრწყინვალესიშედეგია „ილიადისა“ და „ოდისეის“ გამოცემა.

● ობობები ქსელს ისე აბამენ, რომ მწერებისთვის შეუმჩნეველი იყოს. ამერიკის კორნელის უნივერსიტეტის მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ობობას ქსელი ისეა მოქსოვილი, რომ დიდი ნახატი შორიდანვე შეიმჩნევა, რადგან ფრინველი არ დაეჯახოს და არ დაარღვიოს.

● თანამედროვე სათამაშო ბანქოს ისეთი სახე, როგორიც დღეს აქვს, საფრანგეთის დედოფალ ეკატერინე მედიჩის დამსახურებაა, რადგანაც მან შულერების წინააღმდეგ გამოიგონა კარტის უკანა მხარეს დამცავი ნახატის განთავსება.

● ცნობილი არქეოლოგი ჰენრიხ შლიმანი ძალზე ექსცენტრიული კაცი იყო. შვილის ნათლობისას ემბაზის წყლის ტემპერატურა შეამოწმა, რითაც საშინლად განარისხა მღვდელი.

● დიდ მოგზაურსა და მკვლევარს მიკლუხო-მაკლაის, რომელიც პაპუასების ცხოვრებას იკვლევდა, პაპუასებმა „ადამიანი მთვარიდან“ უწოდეს.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

### კადრი



### ანეკდოტები

– ეს სპექტაკლი ნანახი მაქვს. გირჩევთ, მეორე აქტის შემდეგ სახლში წახვიდეთ.
– რატომ მეორის შემდეგ?
– პირველის მერე გარდეროპთან დიდი რიგები იქნება.

* * *

თუ ქალაქის სარეკლამო ფარებზე მავანთა უსირცხვილო და თავხედური გამომეტყველების მქონე სახეები გამოჩნდა, ლოზუნგებზე კი სამასოიან სიტყვებს პოლიტიკოსთა გვარებს მიაწერენ, ესე იგი, არჩევნები მოახლოებულია.



* * *

– არ იცი, შეპერტყილი ტიპების მანქანების ნომრებში რატომ მეორდება ასე ხშირად ციფრები 777 ან 555?
– ამას რა დიდი ცოდნა უნდა! დებილები არიან და სხვანაირ ციფრებს ვერ დაიმახსოვრებენ!

* * *

პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.100 ათასმა ამომრჩეველმა. ყველა – 3.400 ათასივე ბიულეტენის გადამუშავების შემდეგ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა სახელისუფლებო პარტიამ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24